


„ხარს ვგვევარ ნაიალადარს, რჳით მიწასა ეჩხვერ ვებუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლულუნებ.“ ვაჟა



თავისუფლება

825 / 2
1978



საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal periodique en langue georgienne

№ 23 PARIS NOVEMBRE 1978 ნოემბერი პარიზი № 23

შ ი ნ ა ა რ ს ი

- | | |
|---|------------------------------------|
| 2. აფხაზეთი გულია საქართველოსი | მოწინავე |
| 3. საქართველოს კრიზისი: ერთი კერძო ასპექტთაგანი ეროვნული პრობლემისა სსრკ-ში | ელენ კარბერ დანკოსი |
| 4. კონსტანტინე ნადირაშვილის ინტერვიუ | |
| 6. ისტორიული ცნობები აფხაზებზე და აფხაზეთზე | |
| 8. ვალერი ჩალიძის წერილი გ.ე.ო. გენერალურ მდივანს | |
| 8. „ის ურჩევნია მამულსა...“ | + |
| 9. ბ-ნ კ. სალიას „ქართ. ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“-ს შესახებ | დავით ურატაძე |
| 14. ქართ. მწერლობა და ეროვნული მოვალეობა | გიორგი წერეთელი
გრიგოლ წერეთელი |
| 16. გივი კარბელაშვილის სიბრძევენი და უმეცრებანი | გიორგი წერეთელი |
| 18. ნოე ცინცაძე - გამომსამშვიდობებელი სიტყვა - სამგლოვიარო განცხადებები | მიშა ხუნდაძე |
| 20. სამშობლოს ქრონიკა | |
| 21. კარბოვ - კორჩნოს მატჩი | |
| 23. ეორე დიუმეზილი | |
| ელენ კარბერ დანკოსის ახალი წიგნი „დამსხვრეული იმპერია“ | |
| 24. თამარ დე ლეტეს მხატვრობის გამოფენა | ეთერი |
| თავისუფლების ტრიბუნის ფონდი | |



ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ მაისის თვის ბლო რიცხვებში საქართველოში იყო განსაკუთრებული დავალებით სსრკ-ს კპცუ-ს მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, ცენ. კომიტეტის განყოფილების გამგეების თანხლებით. ჩვენ მაშინ, ვანგებ, ვრცლად მოვიყვანეთ ვაზეთი. ამ დროს ჩვენ ამონაწერი, კაპიტონოვის იმ სტიკეიდან, რომელიც კაპიტონოვმა წარმოთქვა აფხაზეთის პარტიულ აქტივის კრებაზე (იხ. „ს.ტ.“ №21). ჩვენთვის მაშინვე ცხადი იყო, რომ კრემლის მიერ საჯაროდ გამოტანა ზოგიერთი აფხაზის მოთხოვნებისა წინასწარი და მაკიაველური განზრახვით იყო მოწყობილი. კაპიტონოვი აფხაზების დასამშვიდებლად არ ჩამოსულა და არც ვაზეთ კომუნისტს გამოუქვეყნებია თავისი პირადი ინიციატივით მისი ამავთქმელი მოხსენების სრული მინიარაი. დღეს ეს კიდევ უფრო უუქველი ხდება, როცა კაპიტონოვის მიერ ჩაწყობილი ნაღებში აფეთქებას იწყებენ. მართლაც დასავლეთის კორესპონდენტები იტყობნებიან, რომ ოქტომბრის თვის დასაწყისში აფხაზეთში ადგილი ჰქონებია ვაფიცვებს და ქუჩებში გამოსვლებს. უკმაყოფილო აფხაზები ვითომც მოითხოვდნენ ქართველების ჩასახლების შეწყვეტას და მათი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ავთანდილ საყვარელიძის შეცვლას ადგილზე დაბადებული პირით (ალბათ აფხაზით). საყურადღებოა, რომ დასავლეთის ეურნალისტებს ეს ამბავი მოსკოვში უტყობს. მათ ეს ცნობები ადგილობრივ აფხაზეთში არ შეუმოწმებიათ. ამის საშუალებას მათ არ აძლევენ. შეიძლება მანიფესტაციების მიზეზი მართლაც ეს იყო, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მას სულ სხვა სარჩული ჰქონებოდა, მაგრამ კავებებს ფარულ ანტენას ქართველების საწინააღმდეგო მანიფესტაციად გაესაღებინათ. ყოველ შემთხვევაში, ეს ცნობები მოწმობენ რომ საქმე სერიოზულია, და, რომ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორება დღის წესრიგში ჩაბნედა. კრემლს თუ ეს გადამწყვეტილი აქვს და მხოლოდ საბაბს ეძებს, ვანა მას გაუჭირდება საბაბი მისივე აგენტების საშუალებით შექმნას? მართლაცდა, ვანა შეიძლება დაეიჯროთ, რომ ტყვარჩელის მემედაროელები და გუდალუის კოლმეურნეები ასე აღშფოთებული არიან: მათი სისხლით ძმების, ქართველების ჩასახლების აფხაზეთში და, რომ ამის გამო ისინი თავიანთი ინიციატივით, ინსტიტუტურად აწყობდნენ ვაფიცვებსა და ქუჩებში გამოსვლებს? ბავშვი უნდა იყო ის რომ დაეიჯრო! ამიტომ, სანამ ძალიან გვიან არ არის, ჩვენ ვტვხავთ ვანგაში. აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოდან ჩამოშორების ცდა ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი. ჩვენ მოვიტხოვთ საქართველოში გაიშალოს ფართო და თავისუფალი საჯარო ბაასი აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, ყოველგვარი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. დაკმაყოფილებულ იქნას აფხაზების ყველა სამართლიანი მოთხოვნა, როგორც ვენის, ისე ვიენის მიხედვით, შრომის პირობების ვაუმჯობესების, რეალური კულტურული ავტონომიის განხორციელების და, ბოლოს, აფხაზეთის მიწა-წყლის დაცვისა და შენახვისა მხოლოდ აფხაზებისათვის. აფხაზების სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა ხდებოდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებითა და მზრუნველობით და არა კრემლის წყალობით.

გამოკინებულ იქნენ ის უტკო ელემენტები, რომლებიც ვანზრახ მტრობას ადგივებენ აფხაზეტსა და ქართველებს შორის და უვენებულ ჰყონ ისინი.

როგორც აფხაზეტში, ისე მთელ საქართველოს სკოლებში ვანსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქართველი ერის ისტორიის, არა უბრალო „ჩაბუღლებას“, არამედ ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას.

საქართველოს მტრები შეუდგნენ შორს ვამიზნულ გეგმების ვანხორციელებას. ამ გეგმებში აფხაზეტი ერთი რგოლია მთლიანი ჯაჭვის. აფხაზების შემდეგ რატომც თავს არ წამოყოფენ ოსი „სეპარატისტები“, სომხები, ქურთები და ასე შემდეგ? თუ ამ საფრთხის რეალურ არსებობაში ვინმეს ეჭვი ეპარება, ჩვენ მას ვთავაზობთ ვულდსამით წაიკითხოს ქალბატონ ელენე კარრე დ. ანკოსის იშვითი ვამპრიანობით დაწერილი სტატია, რომელიც ცხრა სანძიმბრის ვაზეტ „ფიგაროში“ დაიბეჭდა და, რომლის ქართულ თარგმანს აქვე ვთავაზობთ.

არავითარი ეჭვი აღარ შეიძლება: აფხაზეტის ამბები კრემლის პასუხით იმ წინააღმდეგობაზე, რომელსაც ქართველები მას უწევენ საქართველოს ვარუსების მცდლობაში.

როგორც თავის დროზე ვწერდით, ნურავინ თავს ნუ მოიტყუებს, თითქოს 14 აპრილის დემონსტრაციების შედეგად მიღებული კონსტიტუციონალური დათმობა საბოლოოდ ხსნიდეს ჩვენი მშობლიური ვედეანის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას. საბჭ. ხელისუფლების სამოცწლიანი მავალეობით ვიცით, რომ ის მასთან ურთიერთობაში შესულ ერთა და ლეწვერულ უფლებებს მხოლოდ მაშინ ცემს პატივს თუ ეს ერები ვტკიცედ და ეროსულოვანდ იცავენ

მათ. ხოლო, თუ მათ ეროვნულ ერთობას ბზარი გაუჩნდა, კერძო
ხელისუფლება დაუყოვნებლივ შეეცდება, დასაშვები ვინდ დაუშვებელი საშუალებებით, მის
გაფართოვებას და მის გამოყენებას თავისი ბოროტი განზრახვების განსახორციელებლად.
საბჭ. ხელისუფლებამ მიიღო უაღრესად იმპერიალისტური და დიდშეპყრობითი პოლიტიკა.
ლისტური ხასიათი. მათ გადაჭრით ხელი მიჰყვეს ძველ რუს შაგრაზმელთა გეგმების განხორციე-
ლებას. დღეს ამას აღარც მალავენ, რადგანაც ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ, საბჭოთა
ხალხების ადგილას, დღეს შექმნილია „ერთი საბჭოთა ხალხი“. მაგრამ ხალხის მთავარი დამა-
ხასიათებელი თვისება ხომ ენაა. სწორედ ამ ერთი, რუსული, ენის გაბატონებას ემსახურებოდა
ბრეჟნევის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ქართველებმა ჩაუშალეს. ბრეჟნემა და კომპანია
დროებით უკან დაიხია, მაგრამ თავიანთ ქრიმინალურ განზრახვაზე ხელი როდი აუღიათ.. ის-
ინი იმედოვნობენ სხვა მხრით გატეხონ ქართველების ეროვნული წინააღმდეგობა.

საბედნიეროდ, მრისხანე და ძლიერი მტრის წინააღმდეგ ქართველები მარტო არ ვართ.
უახლოეს მომავალში ჩვენს ბედში არიან საბჭოების ყველა არარუსი ერები, ხოლო შემდეგ სა-
ფრთხე არ დააგვიანებს აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის „სატელიტ“ ერებისათვის. ამით გარდა
ქართველებს სხვებიცა ჰყავთ თანამებრძოლები და გულშემოტკიცებები, მხოლოდ მათ უნდა ვუ-
ჩვენით ჩვენს ეროვნული სიცოცხლის უნარიანობა და ჩვენი ერთობლივი მზადყოფნა საქართვე-
ლოს მიწა-წყლისა და ქართული ეროვნული თვისებების დაცვის საქმეში.

ამ მხრით დიდი ზიანი მოგვაყენეს ქართველმა ბოლშევიკებმა. მარტო სტალინის და ბერიას
სახელმძაბრე ჩვენი ხალხის შესახებ წარმოდგენები უტხოვლთა თვალში უსაშველოდ გააყალბეს.
დღეს ეს მდგომარეობა თანდათან სწორდება. ქართველი ხალხი ახლო მომავალში შეძლებს
ამ ლაქების სრულიად გაქარწყლებას, თუ ერთსულვნება იქნა დამპყრობელების წინააღმდეგ.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, აფხაზებსა და ქართველებს ერთდამავე სახელმ-
წიფოში გვიცხოვრია. სისხლი ერთი გვაქვს, რელიგიურმა სხვადასხვაობამ დღეს აღარ შეიძლე-
ბა ერთმანეთს სამტროდ გადაგვიდოს. ენა სენის, მეგრელის, თუშ-ფშავ-ხევსურისაც ნაკლებად
თუ მეტად ვანსხვავდება ქართლ-კახურისაგან, მაგრამ ვინა თქვა, რომ ისინი სხვებზე ნაკლებად
ქართველები იყონ? ვინა თქვა, რომ აფხაზები ქართველები არ იყონ და აფხაზეთი გული არ
იყოს საქართველოსი?

დასავლეთის კრესის ცნობა აფხაზეთის
ამბების შესახებ

ოქტომბრის თვის დასაწყისში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში
ადგილი ჰქონდა სავაფიციო მოძრაობებს. კერძოდ, დედაქალაქ სოხუმის საწარმოებში, ტყვარ-
ჩელის ერთ მღარაოში და გუდაუთის რაიონის კოლმეურნოებებში.

მუშაობის გაჩერების და არეულობების, რომელიც მას მოყვა, მიზეზი:
აფხაზ მოსახლეობის წინააღმდეგობა აფხაზეთში ახალ ქართველ მოსახლეობს ჩასახლების წი-
ნააღმდეგ და აგრეთვე, მათი სურვილი, რათა მათი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე შეიცვალოს ადგილობრივ დაბადებულ
პირით.

საქართველოს კრიზისი: ერთი კერძო ასპექტთაგანი
ეროვნული პრობლემისა სსრკ-ში(ფიგარო 9.11.78.)

არეულობა, რომელსაც საქართველო განიცდის ამჟამად, უექველად ადასტურებს, რომ სსრკ-ში
არსებობს ნაციონალური პრობლემა. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით შევამჩნევთ, რომ
საქართველოს უკანასკნელი ამბები, ერთსა და იმავე დროს კიდევაც აშუქებს და ჩრდილავს
პრობლემას. როცა ქართველები ქუჩაში გამოდიან, რათა დაიცვან თავიანთი ენა, ისინი აშკა-
რად ეწინააღმდეგებიან ცენტრალურ ხელისუფლებას და მათ შესაძლებელ გარუსებას. როცა აფ-
ხაზები მართავენ გამოსვლებს, ისინი თავს ესხმიან „ქართველების შოვინიზმს“ და დახმარები-
სათვის მიმართავენ ცენტრალურ ხელისუფლებას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. მაშ
სად იმყოფება შოვინიზმი და საფრთხე? მოსკოვში? თუ თბილისში? აქ საჭიროა გავიხსენოთ
ზოგიერთი ფაქტები.

1970 წელში საქართველო ითვლიდა 3.130.000 ქართველს 4.686.000 მთლიანი



მოსახლეობიდან, რაც შეადგენს **66,8** პროცენტს აფხაზები, რომლებიც ნამდვილი ავტონომიით სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკაში, შეადგენენ **79.449** მულს, ესე იგი **1,7** პროცენტს; საერთო საქართველოს მასშტაბით ქართველები ბატონობენ პოლიტიკურად. პარტიის და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ქართველები არიან და პარტია, რომელიც ხერხემალს წარმოადგენს ითვლის **76,1** პროცენტ ქართველს და **1,4** პროცენტ აფხაზს. ასეთი უწონასწორობა მოსახლეობის რიცხვსა და მართველობას შორის განსაკუთრებით მწვავედ განიცდება ვინაიდან ქართველები და აფხაზები განსხვავებული სარწმუნოებისა არიან. აფხაზები თურქ-მუსულმანებს (როგორც ოსები და აჭარლები) წარმოადგენენ, ძველ ქრისტიანულ ტრადიციის მქონე საქართველოში. აფჰაზურ ენას **1959** წელში ლაპარაკობდა აფხაზების **95,8** პროცენტი; **1970** წელში კი **97,2** პროცენტი. ამრიგად, აფხაზები, თავის მხრივ, ამჟღავნებენ თავიანთ ნებისყოფას დაიცვან თავიანთი პირადობა ქართველების მიმართ. მაგრამ აგრეთვე ამით მკლავდებდა პოლიტიკა, რომელიც თავის შთავაზუნებს და რეზულტოს ლენინის თავისმომყრელი გეგმებიდან. გამოაცხადა რა, რომ ყველა ეროვნებას, და არა მხოლოდ დიდებს, აქვთ თანაბარი კულტურული და პოლიტიკური უფლებები სსრკ-ში, ლენინის მიზანი იყო მოგზაო ეროვნული შურის გრძობების რუსების მიმართ, მაგრამ მას განსაკუთრებით სურდა გაეთიშა, დაენაწიერებია ეროვნული მისწრაფებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ცენტრალურ ხელისუფლებას.

როცა გასულ ზაფხულში მონიღომეს საქართველოს კონსტიტუციიდან ამოეღოთ მუხლი, რომლის მიხედვით ქართული ენა სახელმწიფო ენაა, ეს იყო, ამბობდა პარტია, ცენტრის სურვილი თანაბრად ბატონი ენა ყველა უმცირესობათა ენების თანაბარუფლებიანობისათვის საქართველოში, მაგალითად როგორც აფხაზური ენაა. მაგრამ ქართველებმა სულ სხვა თვალთ შეხედეს ამას. მათთვის ქართული ენის ჩამოყენება ქვეყანაში, რომელშიც მრავალ ენა წარმომადგენლები ცხოვრობენ, ვხას უხსნიდა მეორე, ყველსათვის საერთო, ენის მიღებას, რუსული ენისას. ისინი ამხედლდნენ, რადგანაც მათ იგარძენეს, რომ უმცირესობების უფლებების დაცვის საბაბით, ცენტრალური ხელისუფლება ასუსტებდა მათ და მათ კულტურული, მაგრამ ასევე პოლიტიკური, დანაწილების ზეზაზე აყენებდა.

ფაქტიურად, აფხაზები, რომლებიც მათი რიცხობრივი სიმცირის გამო დიდ საფრთხეს არ წარმოადგენენ, ითხოვენ დატოვონ საქ. რესპუბლიკა, რათა შეუერთდნენ რუსის ხალხს. ქართველებისათვის საფრთხე აშკარაა. მათ აზინებთ, რომ ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ძალა არ შესწევს გასტეხოს მათი ნაციონალიზმი, ხელს არ უწყობდეს მათ გვერდით მცხოვრებ მცირე ერების კრიზისებს, რომლებსაც მოყვება რესპუბლიკის დაყოფა. რომ ეს საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული მათ საშუამდგომლოდ მოსკოვს უნდა მიმართონ და უნდა იმედი ჰქონდეთ მისი დახმარების. მაგრამ ამ დახმარებას ის ვერ მიიღებს სათანადო დამოძღვების გარეშე. რომ დაამტკიცოს, რომ ის შოვინისტი არ არის, საქართველომ ხელი უნდა აიღოს თავის ნაციონალიზმზე და დაუსწავს ნაწილობრივი რუსიფიკაცია, რომელსაც ის მუდამ იგერიებდა. კერძოდ სკოლების და უნივერსიტეტის და რგშში, რომლებიც გადაამწყვეტი არიან, რადგანაც ისინი ამზადებენ მომავალ საზოგადოებას.

ეს დიღემა - ეროვნული სივრცის ძალდატანებით შემცირება ან დათანხმება თანდათანობით ინტეგრაციის გზით სვლაში - ცენტრალურ ხელისუფლებას სურს გამოიყენოს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, მისი ეთნიური თავისებურების გამო; მას შეუძლია, ამის წყალობით, ცალკე დაიძაბუნოს ერი განსაკუთრებით დინამიური და მომთხოვნელი. მაგრამ, ეს არ არის, სრულებითაც არ არის გამოსაყენებელი იარაღი მთლიანად სსრკ-ის ეროვნულების მიმართ.

ასეთი დიღემა არ არსებობს იქ სადაც ნაციონალური პრობლემა დასმულია ყველაზე უფრო მძიმედ და ყველაზე უფრო ფართოდ, სსრკ-ის ისლამურ სამყაროში, რომელსაც, ასეთ გამოუვლელ მდგომარეობიდან, იფარავს რიცხვი და საზოგადოების შემქმნელობა ისლამის ირგვლივ. თუმცა ის ჯერ-ჯერობით ნაკლებად ჩანს, ისლამური სამყაროს ეროვნული საკითხი ყველაზე უფრო სერიოზულია საბჭოთა კავშირისათვის.

ელენე კარჩერ და ნაკოსი

კონსტანტინე ნადირაშვილის ინტერვიუ

რადიო „თავისუფლების“ რუსულმა რედაქციამ, აფხაზეთის შესახებ, ინტერვიუ ჩამოართვა რედაქციის წევრს კონსტანტინე ნადირაშვილს. რუსულიდან თარგმნა და რადიო „თავისუფლების“ ქართველ მსმენელებს გადაცა ქალბატონმა გულნარა ურატაძემ, რომლის შინაარსსაც აქ ვებეჭდათ

რადიო „თავისუფლება“: რას წარმოადგენს აფხაზეთი, როგორც საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკა და როგორია აფხაზეთი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორია?

კონსტანტინე ნადირაშვილი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქია სოხუმი, შემადგენელი ნაწილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი. ეს არის პოლიტიკური სისტემა, რომელიც გააჩნია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამყარების შედეგად. რაც შეეხება აფხაზეთს, როგორც საქარ-ს სახელმწიფოს ნაწილს, სახელმწიფოსი, რომელიც ათასობით წლების განმავლობაში არსებობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, აფხაზეთი, შეიძლება ითქვას არის საქართველოს გული. ქართველ მეფეების ოფიციალური წოდება იყო „მეფე აფხაზეთა და ქართველთა“. ე.ი. საქართველო, გაერთიანდა საქართველოს, როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, წარმოიშვა აფხაზეთიდან. საქართველოს სახელმწიფოს არსებობის, ორი ხალხის - აფხაზების და ქართველების - არსებობის მთელ ისტორიაში ლაპარაკიც არ ყოფილა რაიმე ანტაგონიზმზე ან ნაციონალურ წინააღმდეგობაზე ქართველებსა და აფხაზებს შორის. ლაპარაკიც არ ყოფილა რაიმე დისკრიმინაციაზე და ვეფიქრობ ადამიანი, რომელიც ცოტა მაინც იცნობს საქ. ისტორიას, ასეთ მაგალითებს ვერ იპოვის.

რადიო „თავისუფლება“: რით იხსენება „აფხაზური საკითხის“ აღმოცენება დღეს, რომელზეც ილაპარაკა კაპიტონოვმა?

კ. ნადირაშვილი: ამის ახსნა ვეფიქრობ ძალიან ადვილია. თუ გადავხედავთ ახლო წარსულს, უკანასკნელ თვეებს, კვირებსაც კი, დავინახავთ, რომ საქ-ში, კერძოდ თბილისში ჩატარდა დემონსტრაციები, რომელთა მიზანწილებებმა წამოაყენეს საკითხი ქართული ენის შეზღუდვის შესახებ, საქ.ში რუსული შოვინიზმის შესახებ. და უეცრად, ახლა წამოიჭრა აფხაზური საკითხი. ჩემი აზრით, ადვილია კავშირის დამყარება ამ მოვლენებს შორის. აი, ქართველებს უბრალოდ ეუბნებიან მოსკოვიდან, მოსკოვიდან, რადგანაც კაპიტონოვი ჩამოვიდა ოქიდან ამ საკითხის „გასარკვევად“, „ღიახ, თქვენ უკმაყოფილონი ხართ ჩვენით, მაგრამ არის აგრეთვე ხალხი, რომელიც უკმაყოფილოა თქვენით. ამიტომ, წესითადაე მოიქცეთ“ უბრალოდ, ეს ასეა.

რადიო „თავისუფლება“: კაპიტონოვმა თქვა, რომ წერილების ავტორები ჩივიან აფხაზების გარკვეულ დისკრიმინაციაზე განათლების მიღებისა, პასუხსაგან თანამდებობათა მიღებაში და აფხაზური ენის და კულტურის არადამაკმაყოფილებელ განვითარებაზე, აფხაზეთს ალბათ საფუძველი ვაჩანიათ ასეთი საჩივრებისათვის?

კ. ნადირაშვილი: მე ვეფიქრობ, რომ აფხაზებს საფუძველი აქვთ საჩივრებისათვის თუ როგორ უხდებოდა ცხოვრება; ასეთი საჩივრების საფუძველი აქვს ნებისმიერ საბჭოთა მოქალაქეს, რომელსაც საქმე აქვს საბჭოთა ბიუროკრატიათან. შესაძლებელია, რომ ცხოვრების პირობები (ცუდი, სამედიცინო მოსახურება არაა დამაკმაყოფილებელი და ა.შ. მაგრამ ახლა შევხებით საკითხის ეროვნულ მხარეს. ამ რამოდენიმე წუთის წინ გადავხედავ საბ. კავშირში გამოცემულ ცნობარს. აფხაზეთის მოსახლეობა უდრის 400.000 სულს აქედან 97.000 აფხაზია რომელთაგან მხოლოდ 79.000 ლაპარაკობს აფხაზურად; 200.000 -ამდე ქართველია და დანარჩენი სხვა ეროვნების: რუსები, სომხები და სხვა. როგორ დავს აფხაზური კულტურის საკითხი? ისტორიულად აფხაზეთს არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა, აფხაზეთი მუდამ ქართულ ანბანს ხმარობდნენ. ეს ასე იყო ორი ათასი წლის განმავლობაში. შემდეგ, 1956 წელში, პიროვნების კულტის მხილების დროს, ხრუშჩოვმა დაიკავა ანტი-ქართულ პოზიცია. ის შეეცადა საბჭოთა ადამიანების შემეცნებაში ქართველის, საქართველოს სტალინთან გაიგივებას. მისი აზრით სტალინი ცუდი იყო იმიტომ, რომ ის ქართველი იყო, და ამან გამოიწვია გარკვეული ანტიქართული განწყობლება მოსახლეობაში. და სწორედ მაშინ აფხაზეთში წარმოიშვა აფხაზური საკითხი. მანამდე არავის არაფერი გაეგონა ამის შესახებ. 1956 წელს, მაგალითად, აფხაზებს ქართული ანბანი შეუტყველეს რუსულით, რაც წარმოუდგენელი რამ არის და რამაც დილოლოგები დიდი პრობლემის წინ დააყენა.

სამოციანი წლების ბოლოს კი, როგორც ჩანს ვინმეს გავლენით, ადგილი ჰქონდა გარკვეულ გამოსვლებს. არცერთი მათგანს უფლება ვთქვა თუ არა, რომ ეს გამოსვლები წინასწარ განზრახვით იყვნენ ორგანიზებული. ყოველშემთხვევაში, აფხაზებმა უეცრად განაცხადეს, რომ გამოიღონ საქართველოს შემადგენლობიდან და სურთ რუსეთის ადვოკატიათან შეერთება; სწორედ ის რაზედაც ილაპარაკა კაპიტონოვმა. საქ. მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ჯავახიშვილი ჩავიდა აფხაზეთში და განაცხადა: „გსურთ რუსეთის ფედერაციაში გადასახლე-

ბა? ინებეთ. მატარებლებს, ავტომობილებს და ტრანსპორტის სხვა საშუალებებს მოგვცემთ. ეს თქვენი საქმეა, იცხოვრეთ სადაც გინდათ, მაგრამ ეს ტერიტორია ავტო უკვე ორი ათასი წელია ქართულია, ის შედის საქართველოს შემადგენლობაში, და ლაპარაკი არ შეიძლება აფხაზეთის გამოყოფაზე საქართველოდან, მის შეერთებაზე რუსეთის ფედერაციასთან. არჩვენულია აი, ასე დგას საჩივრების საკითხი. მსურს აგრეთვე აღვნიშნო, რომ აფხაზეთში არის აფხაზური სკოლები, გამოდის გაზეთები აფხაზურ ენაზე, ყველა ხელმძღვანელი თანამდებობებში, დაწვეული რაიონების კ.კ-ს პირველი მდივნებიდან გათავებული საოქმო კომიტეტის პირველ მდივნამდე, უკავიათ აფხაზებს.

რადიო „თავისუფლება“: როგორია საქართველოს ხელმძღვანელობის და საქ. დემოკრატიულ საზოგადოებრიობის პოზიცია აფხაზეთის პრობლემის მიმართ?

კ. ნადირაშვილი: თუ როგორია საქ. პარტიული და სამთავრობო ხელმძღვანელობის პოზიცია, ამას გვიჩვენებს საბჭოთა და ქართული პრესა.. აფხაზური პრობლემა ხელოვნურადაა შექმნილი თუ ბუნებრივად არსებობს, მისი განხილვა მაინც საჭიროა. პრესაში ამაზე არცერთი სიტყვა არაა. მაშასადამე, საქ-ს ოფიციალური ხელისუფლება ცდილობს ამ პრობლემას დუმითი აუაროს გვერდი და სწორედ ასეთი პოზიციის შედეგია ასეთი ექსცესები, როგორც ამჟამად აქვს ადგილი.

რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიულ საზოგადოებას, ვგონებ აქ ორი აზრი არ არსებობს~ საქ. დემოკრატიული საზოგადოება და მისი სახელით ჯგუფები, რძლებიც იბრძვიან ადამიანის უფლებების და პელსინგის შეთანხმებათა შესრულებისათვის, მოითხოვს, რომ აფხაზ ხალხს მიენიჭოს ზუსტად ისეთივე უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ ყველა სხვა ხალხები და არ ვფიქრობ, რომ ამჟამად იდგეს ამ უფლებების შელახვის საკითხი, არამედ, დგას ამ უფლებების განვითარების, გაღრმავების საკითხი.

ისტორიული ცნობები აფხაზეთის და აფხაზების შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“:

„ქვეყნისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგრისის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თვისთა ხუდა წილად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ გარდაცვლინებამდე. ხოლო აფხაზეთი - ლევანის გამო, რომელი, შემდგომად პირველი ლეონისა, მეორე ლევან ერისთავთა აფხაზეთს ქრისტესა ღ-პე, ქართულსა ე-ს. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვლებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა, და მოიღო საერისთავოსა თვისისა სახელი ეგრისისა ზედა.

არამედ იმერეთი - ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ **იმერნი** და **ამერნი**, უმეტესად შეერთებისათვის, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა. (ტომი მეოთხე. გვერდი 742.)“

„ხოლო ანაკოფისი დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთ-ვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღუადვე, მის გამო ეწოდა ეგრეთვე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს ბაბასა, ხოლო ქართველთა **აფხაზეთი**. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე.“ (იქვე. გვ. 785)

„მატიანე ქართლისაის“ ცნობა:

„რა უამს მოუძღურდეს ბერძენნი, გადაგ მათგან ერისთავი აფხაზეთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსა მიეცა სამეკიდროდ აფხაზეთი; ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლხიანამდე, სახელ იდგა მეფე აფხაზეთა“-ო

ივანე ჯავახიშვილის „ქარ-ლი ერის ისტორია“-ს მიხედვით:

თავში „ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელი, სამშობლო და უძველესი ბინადრობა“, ივანე ჯავახიშვილი დასაწყისში ამბობს: „ასურულ, ბერძნულ და რომაულ წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველები უძველეს დროიდანვე მოყოლებული მრავალ ტომებად დაწარმოებული ყოფილან; თითქმის ყველა ის ტომები, რომელთა სახელები ქრისტეს შემდეგ საუქუნეებში ქართული საის-

ტრიო წყაროებიდან ცნობილი არიან და დღევანდლამდე არსებობენ, უკვე მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქრისტეს წინად საისტორიო ასპარეზზე მოქმედებდნენ. ჩვენი ხალხის ხანგრძლივი კულტურული ცხოვრების დროს ხან ერთი ტომი დაწინაურდებოდა ხოლმე, ხან მეორე, ხან მესამე, თითოეულს მთავანს ერთ დროს, რასაკვირველია, მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა. ამ ასურულ, ბერძნული და რომაული წყაროების გულმოდგინე შესწავლით და ქართველურ ენებთან შედარებით, მეცნიერი, მიღის იმდასკვნამდე, რომ: „აფხაზებს და მესხებს ერთი და იგივე ტომობრივი სახელი აქვთ“-ო თუმცა მეცნიერული სიფრთხილის გამო იქვე დასძენს: „მაგრამ მარტო ამითი ტომობრივი იგივეობა ვერ დამტკიცდება“-ო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ივ. ჯავახიშვილმა აფხაზების ჩამომავლობის საკითხი სერიოზულ „ქართულთა სხვადასხვა სატიმო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა“ თავში განიხილა, მოწმობს, რომ სახელგანთქმულ ისტორიოგრაფს სწამდა აფხაზების ქართველური ჩამომავლობა.

ქრისტეს შემდეგ მეორე საუკუნემდე აფხაზეთის შესახებ წერილობითი საბუთები არ არსებობენ. ელჩინები კარგად იცნობდნენ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, რომელსაც კოლხეთს, კოლხების ქვეყანას უწოდებდნენ, აქ მათ არაერთი ახალშენებიც ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროებზე, მაგრამ მათთვის კოლხეთის სახელმწიფო ეთნიურად ერთგვაროვანი იყო და მეფეც ერთი ჰყავდა.

ძღვეამოსილმა პომპეიუსმა, რომელმაც 65 წელს ქ.წ. აღბანეთი, იბერია და კოლხეთი დაიპყრო, კოლხეთის მეფედ არისტარხს დააყენა. მაშასადამე იმ დროს კოლხეთი მთლიანი სახელმწიფო იყო და ასეც დატოვა პომპეიუსმა.

134 წელს ქრისტეს შემდეგ კი რომის მალაქი მოხელე ფლავიუს არრიანეს ადრიაწე კეისარს წერს: „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯერ ლაზთა სამეფოა, შემდეგ უფრო ჩრდილოეთით აფშილეების სამეფო მისდევს, რომელთაც უფრო ჩრდილოეთით აფხაზთა სამეფო და ამაზე უფრო ზევით სანიგების სამეფო მდებარეობს“-ო. ამ ისტორიული საბუთის გამო ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „ამგვარად, თუ წინად, მაგალითად პომპეიუსის დროს, კოლხეთში ერთი მთლიანი სამეფო და მხოლოდ ერთი მეფე, არისტარხი, ჩანს, 134 წელს ქ.წ. ამავე მიწა-წყალზე უკვე ოთხი სახელმწიფოებრივი ერთეულია და ოთხი მეფე ზის. არრიანეს მოხსენებიდან არა ჩანს, რომ რომელიმე ამ მეფეთაგანი უფროსად და უზენაესობის მქონებლად ყოფილიყოს მიჩნეული. ამ მოხელეს არც ის აქვს აღნიშნული, რომ ამ ოთხ სამეფოს ურთიერთშორის რაიმე პოლიტიკური დამოკიდებულება ყოფილიყოს. მაგრამ, ის კი აღნიშნული აქვს, რომ ლაზთა მამუნიდელ მეფეს მაღას, აფშილეების მეფეს იულიანეს, აფხაზთა მეფეს რისმავსა და სანიგთა მეფეს სპადვასაც არრიანე კეისარისაგან მიუღიეთ მეფობა“. ამის გამო, დიდ მამულიშვილი, მწარედ დასძენს: „ზემოდ აღნიშნულიდან განსაკუთრებული ყურადღების დღისი ის გარემოებაა, რომ მთლიანი დასავლეთი საქართველოს მაგიერად 134 წ.ქ.წ. უკვე ქვეყანა ოთხ სამეფოდ დაქუცმაცებული ყოფილა. როგორც ჩანს, რომელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკა *divide et impera* აქაც განუხორციელებიათ და გაერთიანებული კოლხეთის მაგიერ ოთხი სამეფოს შემქმნისათვის ხელი შეუწყვიათ.“

ასეთი დანაწილება გავრცელება ექვსი - შვიდი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ რომს ბიზანტია შეცვლის, სპარსეთს არაბეთის სახალიფო და მათი ამირები.

მერვე საუკუნეში დასუსტებას იწყებს როგორც ბიზანტია, ისე არაბობა, რითაც დაუყოვნებლივ სარგებლობენ საქართველოს სამეფოები და სამთავროები და იწყებენ ურთიერთშორის ბძოლას ქართული მიწა-წყლის გასაერთიანებლად. მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მხრით ყველაზე უფრო წინაურდება აფხაზეთის სამთავრო, რადგანაც ის ყოფილ კოლხეთის მთელ ტერიტორიას გააერთიანებს, როგორც ეს უკვე ვახსენეთ ზევით. 904 წელში, აფხაზთა მეფე კონსტანტინემ დაიპყრო ქართლის ნაწილი და ჰერეთი, და ამრიგად ფეხი შედგა აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ქართლის დიდებულის იოანე მარუშიძის და ტაოს გამგებლის დავით კურაპალატის დიდ მამულიშვილური მიტელობის შედეგად, თბილისის საამიროს გარდა, მთელი საქართველო გაერთიანდა ბაგრატ მესამის სკიპტრის ქვეშ, რომელიც იწოდებოდა მეფედ აფხაზთა და ქართველთა... ამის შემდეგ აფხაზების ბედი დაურღვევლად დაკავშირებულია სრულიად საქართველოს ბედთან. თვით მონღოლთა ბატონობის განმავლობაში იმერეთმა, აფხაზების ჩათვლით, შეინარჩუნეს ქვეყნის მთლიანობა და მხოლოდ ბიზანტიაზე გამარჯვებული ოსმალო, მეთექვსმეტე - მეჩვიდმეტე საუკუნეებში, შეძლეს მათ დანაწილებას. არც ამის შემდეგ შეწყვეტილა

აფხაზეთის სამთავროს მკვიდრო პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოს დანარჩენ სამეგრეო-სამთავროებთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ორგანიული იყო სამეგრეოს სამთავროსთან, ხოლო მეფერამეტე საუკუნეში აფხაზეთმა, მეგრელებმა და გურულებმა ცვენეს იმერეთის მეფე სოლომონ პირველის უზენაესობა და შეერთებული ძალებით სამეგრეს აგემეს დამარცხების მიზნით სეულ თურქის ჯარებს.

ვ ა ლ ე რ ი ქ ა ლ ი ძ ი ს წ ე რ ი ლ ი კ უ რ დ ვ ა ლ დ ჰ ა ი მ ს

(ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ბატონი ვალერი ჭალიძე მთავარი რედაქტორია რუსული პერიოდული გამოცემის „ზონიკა ზაშიტი პრაე ვ სსრკ“, რომელიც გამოდის ნიუ-იორკში. ვალერი ჭალიძე ფორმაციით ბრწყინვალე იურისტი, მან აკადემიკოს ანდრეი სხხაროვთან ერთად დაარსა ადამიანის უფლებათა დაცვის მოსკოვის კომიტეტი. ტურისტული ვიზით ამერიკის შ.შ-ში ყოფნის დროს, საბ. მთავრობამ მას სსრკ-ის მოქალაქეობა ჩამოართვა და ამრიგად აღმოჩნდა იძულებით ემიგრაციაში. აპრილში, თბილისში მომხდარი დემონსტრაციების დროს მან დაუყოვნებლივ წერილით მიმართა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და მით ეს საერთაშორისო დაწესებულება პასუხისმგებელი გახადა. ამ ვებქდაეთ ამ წერილის თარგმანს. თ.ტ.)

ღ ი ა თ ბ ა ტ ი ც ვ ე მ უ ლ ო ბ ა ტ ო ნ ო მ თ ა ვ ა რ ო მ დ ი ვ ა ნ ო !

თქვენს ყურადღებას მივაქცევ თბილისის გრანდიოზულ დემონსტრაციაზე, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვის მიზნით.

ქართველი ხალხი ერთი უძველესთაგანია დედამიწაზე და მათი კულტურა უნდა იყოს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მფარველობის ქვეშ.

თქვენს ყურადღებას აგრეთვე მივაქცევ დემონსტრაციაში მონაწილეების მიმართ დედნის საშიშროების არსებობას. განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევს ის ამბავი, რომ საქართველო აკრძალული აქვთ უცხოეთის ყურნალისტებს სამოგზაუროდ.

გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას არაერთხელ გამოუწედავენება თავისი უძღურება დიდი სახელმწიფოების მიმართ, როცა საკითხი ეხებოდა ადამიანის უფლებათა დაცვას, ამჟამადაც ის გამოიჩენს იგივე უძღურებას, როცა საკითხი ეხება მთელ ერს?, თუმცა ის წარმოადგენილი არ არის გ.ერ. ორგანიზაციაში?

მე თქვენ მოგწოდებ, ზნო გენერალურ მდივანო, საჭირო სერიოზულით მოეკიდოთ ამ პრობლემას, დაეხმაროთ ქართველ ხალხს მისი უფლების დაცვაში, რათა მას საშუალება ჰქონდეს თავისი ენით სარგებლობისა ცხოვრების ყველა დარგში. მიუხედავად იმისა წავა თუ არა სსრკ-ის ხელისუფლება ფორმალურ დათმობაზე ახალ კონსტიტუციაში სათანადო მუხლის შეტანით, საკითხი მაინც სერიოზული რჩება~ ქართული კულტურის გარუსება უკვე დიდი ხანია რაც უკვე დაიწყო. ამ ერის კულტურა საფრთხეშია.

ქართული კულტურის დასაცავად უკვე გამოსულან ახაერთი ქართველი ინტელიგენტი, მათ შორის, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ზვიად გამსახურდია, რომელიც ამჟამად პატიმრობაშია მის თანამშრომლებ მერაბ კოსტავა და ვიქტორ რციხიძესთან ერთად.

მე ასევე თქვენს ყურადღებას მივაქცევ, რომ ეს პრობლემა მარტო საქართველოს კი არ ეხება, არამედ სსრკ-ის ყველა სხვა ხალხებსაც და ამიტომ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაცია, თავისი საყოველთაო უფლებებით და მოვალეობებით, არ შეიძლება გულგრილად დარჩეს მის მიმართ.

15 აპრილი

გ. ჩალიძე

„ის უ რ ჩ ე ვ ნ ი ა მ ა მ უ ლ ს ა ...“

ყურნალ „ცისკარი“-ს მეხუთე ნომერში დაბეჭდილია გაბაასება საქართველოს განათლების მინისტრ ოთარ ქინქიძისა და ცისკარის უფროს რედაქტორ გურამ ფანჯიკიძეს შორის, სათაურით „ის ურჩენია მამულსა...“

მე შევებებ ამ დიალოგის იმ ნაწილს, რომელიც ეხება სკოლებში რუსული ენის სწავლებას. პატივცემული ფანჯიკიძე, მინისტრთან გაბაასების დროს, აღნიშნავს რა ქართველ ახალგაზრდობისათვის უცხო ენების, და კერძოდ რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ამბობს: „მე იოლ გზად, ამასთანავე, ძალზე მცდარ გზად მიმაჩნია

ქართველი ბავშვების ამ მიზნით რუსულ სკოლაში შეყვანა. ენა ურთიერთობის საშუალებათა, ამბობენ, ეს მართალია, მაგრამ მშობლიური ენა კიდევ ცოტა უფრო მეტია, ვიდრე ურთიერთობის საშუალება. მშობლიური ენა ერის ბუნების გამოხატულებაა. მშობლიურ ენას ბავშვის ენაში, გულსა და სულში შეაქვს ეროვნული თვისებები, ეროვნული მადლი.“ ეს ამონაწერი ახლად მეტყველებს, რომ მწერალ ფანჯიკიძესთან ერთად ქართული ინტელიგენციის დიდმა წინააღმდეგ სწორად აზროვნებს და იღვწის კიდევ ქართული ენის, როგორც უძვირფასესი ეროვნული საუნჯის დაცვისათვის, ისე, რომ ახალგაზრდობამ უცხო ენებზე შეისწავლოს, და მათ შორის რუსული ენაც. კიდევ უფრო საუარაღდებოა საქ. განათლების მინისტრი ოთარე ქინჭაძის საჯარო განცხადება: „მე იმ აზრის ვარ, რომ ბავშვი დედაენაზე უნდა სწავლობდეს. ამის უტყუარი დასტურია იან ამის კომენსკის „დედობრივი სკოლა“. ამასვე გვიდასტურებს დიდი რუსი პედაგოგი უშინსკი.“.. უშინსკი- ამბობს განათლების მინისტრი- განმარტავს, რომ დედაენაზე სწავლებისას ბავშვი იმ ენის მარტო გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს, იგი ამავე დროს ისრუტავს სულიერ სიცოცხლეს და ძალას დედანის მშობლიურ ძუძუდან. მიუთითებს რა სხვადასხვა ავტორიტეტულ პედაგოგიურ წყაროებზე, მინისტრი ქინჭაძე ასკვნის: „დედაენაზე მეტყველების დაწყება წარმოადგენს ენის შესწავლის ბუნებრივ გზას. ეს გზა ბუნებრივია, რადგანაც დედაენისადმი მიდრეკილება ბავშვს დაბადებიდანვე თან დაყვება, აქედან გამომდინარე მეც იმ აზრის ვარ, რომ ბავშვი დედაენაზე უნდა სწავლობდეს. ასე ვუყურებ მე, როგორც განათლების მინისტრი ამ საკითხს.“

ციცქარაში გამოქვეყნებული ეს საუბარი, უპირველესად, გვიდასტურებს იმ სავალალო ამბავს, რომ მნიშვნელოვანი რიცხვი ქართველებისა საქართველოში ბავშვებს აგზავნის რუსულ სკოლაში. ამ უგუნური მშობლების აზრის შესაცვლელად, ყველაზე უკეთესი საშუალება დაჯერებაა, ამიტომ თურნალ „ციცქარის“ მიერ ამ დიალოგის გამოქვეყნება მისასაღებელია. თვით საბ. ხელისუფლების ქართველი წარმომადგენლებიც, განათლების მინისტრის სახით, საჯაროდ აღიარებენ, რომ ეს გზა, ქართველი ბავშვების რუსულ სკოლაში სწავლებისა, მავნება, რომ, რუსი, ქართველი, თუ სხვა ერის გამოჩენილი პედაგოგების მიხედვით, ბავშვები უნდა სწავლობდნენ თავიანთ დედაენაზე.

მაშასადამე ქართველებში ორი აზრი არ არსებობს ამ საკითხში, და თუ მიიწე ეს პრობლემა მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაში, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ კრემლი ძალით ცდილობს თავის გარუსების პოლიტიკის განხორციელებას.

† დავით ურატაძე

ბ-მ კალისტრატე სალიას „ქარ-ლი ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“-ს შესახებ

„ბედი ქართლისას 29-30 ტომში, რომელიც 1972 წელში გამოიცა, კრებულის დირექტორ-რედაქტორმა, ბ-მა კ. სალიამ ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ორი მეტად სადავო შრომა: „საქართველოს ისტორია“ და „ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“.

პირველი თემის შესახებ ჩვენი პოიტიკა ცნობილია. აქ მხოლოდ დავუმატებთ: მიუხედავად პოლიტიკური ემიგრაციის აღწვლითებისა და დაგმობისა, ბატონმა სალიამ არ ინება საჯაროდ, მისსავე კრებულში მოეცა სათანადო ახსნა-გამარტება, თუმცა მას შემდეგ რამოდენიმე ნომერი გამოვიდა ბედი ქართლისასი. ეს ამბავი უდავოდ მოწმობს, რომ კ. სალიას შემთხვევით არ მოსვლია საქართველოს გასაბჭოების ორჭოფული განმარტება, არამედ წინასწარი განზრახვით ჩაიდინა, და შემდეგაც ყველაფერი ქნა, რათა მისი ფრანგული ენის მიკითხვები გაურკვეველ, მცდარ მდგომარეობაში დაეტოვებია.

ამჟამად კი მუსრს გავარჩიო ბ-ნ კ. სალიას მეორე „ნაშრომი“.

„ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან ჩვენ დრომდე“ მეტად ვრცელი თემაა. 15 საუკუნის მდიდარი ლიტერატურული შემეკიდრეობის ისტორია, კ. სალიას, გადმოცემული აქვს „ბედი ქართლისასი“ საშუალო სიდიდის სულ რაღაც 33 გვერდში. აქედან სამი გვერდი გამოსარიცხავია, რადგანაც ორი გვერდი სურათებს უკავია, ხოლო ორი გვერდიც სანახევროდაა დაბეჭდილი. ამრიგად, სუფთად ტექსტს უკავია ოცდაათი გვერდი. ასეთი შემოკლების გამო, მას უნდა ჰქონდეს ენციკლოპედიური ხასიათი. მასში აღნიშნული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული ამბები, დებულებები, შეხედულებები. სხვადასხვა ჰიპოტეზებს და შეუმოწმებელ მოსაზრებებს კი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამ მოსაზრებით, შეცდომად მიმაჩნია

როცა ბატონი სალია თავისი წერილის დასაწყისშივე კამათს იწყებს იმ აზრის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ქართული ანბანის შექმნა ვითომც სომეხ მესრობ მამრტოც ეკუთვნოდეს. ადგილის სიმცირის გამო, კ. სალიას განმარტება ამ მოსაზრებას საფუძვლიანად ვერ უპასუხებს, ხოლო მის მკითხველებში ტყუილბრალო იქვს კი აღვიძებს. სამიჯეოროდ, გაუგებარი მიზეზით, ბატონი სალია არაფერს ამბობს, რომ სერიოზული ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართული ანბანის შექმნა მეფე ფარნავაზს მიეწერება, რომელიც ცხოვრობდა მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ. ეს ამბავი კი თავისთავად აქარწყლებს მესრობ მამრტოცის ზღაპარს.

ქართული ლიტერატურის ისტორია გასაბჭოებამდე საფუძვლიანად და კარგად არის შესწავლილი სამშობლოში ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროვას და სხვთა ძვირფასი ნაშრომებით. ჯერჯერობით საბჭოების ოფიციალური შეხედულებაც ცნობს ამრიგად შემუშავებულ ისტორიას, რითაც ბატონ სალიას შრომა ვაადვილებული იყო.

სულ სხვა სურათია თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ. აქ ან საბჭოთა ოფიციალური საპროპაგანდო ვერსიის უნდა მიყვე და მამინ საბჭოთა სიკრუის ამფსონი ხდება, ან და აღიერი დამოუკიდებელი მუშაობა უნდა აწარმოო, მთელი დღევანდელი ქართული მხატვრული დამწერლობა გულდასმით უნდა შეისწავლო, გაანალიზო და საკუთარი შეხედულებები და დასკვნები გამოიმუშაო. კ. სალიას პირველი, საბჭოთა ოფიციალური კრიტიკის თარგმნის, იოლი გზა აურჩევია და ეს ისე, რომ ამას ის არ ამქვდნებებს, რის გამოც ქართ. ლიტერატურის შესახებში წარმოდგენა უტყუარის თვალში ყალბდება. ზარალი მით უფრო დიდია, რამდენადაც სტატიის ავტორი პოლიტიკური დევნიის წოდებას ატარებს, „ბედი ქართლისა“ საფრანგეთის საკვლევ-სამეცნიერო ცენტრის ხარჯებით იცემა და შიგ მონაწილეობენ მსოფლიოში სახელგანთქმული სწავლულები ქართველოლოგები. ყველა ამის გამო თვით ბატონ სალიას ნაწერებსაც იმაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება, და გაცილებით მეტიც, ვიდრე საბჭოთა მოქალაქის მიერ დაწერილ იგივე ხასიათის ნაშრომს.

როცა საკითხი ეხება რომელიმე განსაზღვრულ დროის ლიტერატურას, სანამ წმინდა ლიტერატურის საკითხებს შეეხებოდეს, ავტორმა, რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა მიმოიხილოს ის სოციალური, ეკონომიკური, მატერიალური, და რაც მთავარია, ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდა ჩამოყალიბება აღებულ ლიტერატურას, რადგანაც ყველა ამათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მისი ბუნებისა და ხასიათის გასაგებად. არაფერი ამის მსგავსი ბატონ სალიას ქართ. ლიტერატურის თანამედროვე პერიოდზე. დიდი ოლიას, აკაკის და ვეჯას შემდეგ ის ისე გადადის ვალტაქონზე, გ. ლეონიძეზე და სხვა საბჭ. ხანის პოეტებზე და მწერლებზე თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. ამის გამო მკითხველმა არ იცის თუ საქ-ლო ვისგან, ან როგორ გასაბჭოვდა. მკითხველმა არაფერი იცის, თუ რა მოხდა ამ გასაბჭოების შედეგად: რა ბრძოლები, რა შევიწროვება, რა ფიზიკური და მორალური მსხვერპლი ვაიღო ქართველმა ერმა და მასთან ერთად მისმა ეროვნულმა ლიტერატურამ. კ. სალიას მკითხველმა არაფერი იცის თუ რა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწყვედნენ პირველ წლებში ქარ. მხატვრული სიტყვის ოსრატები წითელი არმიის ხიშტებით ვაბატონებულ რეჟიმს, რათა შეენარჩუნებიათ თავისუფალი და ორიგინალური შემოქმედების უფლება, მაგრამ, როგორ თანდათან გათე-ლეს ისინი რუსული ჩექმებით.

ვიცი ბატონი სალია იტყვის: „ბედი ქართლისა“ მეცნიერული კრებოლია და არა პოლიტიკური. დიხ, სწორედ იმიტომ რომ „ბ.ქ-ას“ ასეთი პრეტენზიები აქვს, მას მეცნიერულად, ე.ი. მიუღვამოლად და ობიექტიურად უნდა გაეშუქება საქართველოს ისტორიის ეს უბედური ხანა, რომ საშუალება მიცემოდა უცოდინარ მკითხველს გარკვეულიყო თუ რა სასწაულით მოხდა, რომ ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლები როგორებიცაა ვალტაქიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი და სხვა გადაიქცნენ ჩვენი სამშობლოს დაიმპრობელების, ლენინ-სტალინ-ბერიამ-ბრეჟნევის მებოტებ „პოეტებად. ანდა, თუ როგორ დადიუნენ, შემოქმედებისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები და პოეტები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები.

ცალკეული პოეტისა და მწერლის შესახებ

როგორც აღვნიშნეთ, ბატონ სალიას მიერ ერთმანეთის მიმდევრობით ჩამოთვლილი ავტორები, მესუთე საუკუნიდან 1972 წლამდე თითქოს ერთდამივე სიკრეში, ნიადაგზე და დროში მოღვაწეობენ და ვეჯას და დავით კლიძაშვილს, ყოველგვარი მომზადების გარეშე, მიყვებიან

ლო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია... და ირ. აბაშიძე. ჩვენს სათაყვანებელ თერგდალეულებს ბ-ნი სალია უფრო ნაკლებ ადგილს უთმობს ვიდრე „სოც. რეალიზმი“ წარმომადგენლებს. მაგალითად დიდებული ილია და აკაკი ერთ თავში მოუქცევა, არცერთი ნაწარმოები ილიასი დასახლებული არ აქვს, სულ ორივესთვის 28 სტრიქონი დაუთმია, მაშინ როცა მარტო ლეო ქიაჩელს 30 სტრიქონი აქვს დათმობილი, ხოლო ირაკლი აბაშიძეს 90 !! (ეს ხომ სკანდალია, მაგრამ ამაზე ქვევით ვილაპარაკებთ).

ლეო ქიაჩელი (შენგელაია)

ლ. ქიაჩელის შესახებ, კ. სალია, წერს: „რომანმა „გვადი ბივამ“, მეორე დიდი ნაწარმოები ქიაჩელის, დაადასტურა, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი; ეს ტიპიური რომანი „სოციალისტური რეალიზმის“ აჩვენებს კოლექტიურ სისტემას საქ. ერთ სოფელში“-ო. არც აქ, არც სხვაგან, სალიას განმარტებული არ აქვს თუ რა ხილია ეს „სოც. რეალიზმი“.

მიხეილ ჯავახიშვილი

მ. ჯავახიშვილზე საუბარს კ. სალია ასე ამთავრებს: „მის უკანასკნელ რომანში „ქალის ტვირთი“ მწერალი აცოცხლებს 1905 წლის რევოლუციის დღეებს თბილისში, მაგრამ ავტორმა ვედარ დაამთავრა. ის ტრადიციულად მოკვდა 1937 წელს.“ რა იყო ეს ტრადიციული სიკვდილი? იქნებ მთაზე ასვლის დროს ყინულზე ფეხი დაუსხლტა და უფსკრულში გადაიჩეხა? იქნება თვითმფრინავის, თვითძრავის ან რკინიგზის მატარებლის ავარიის მსხვერპლი გახდა?! ამის შესახებ ბ-ნი სალია დუმს, მას რცხვენია უთხრას თავის მკითხველებს, რომ „გვაკვი კვაკანტირძის“, „ჯავახოს ხიზნების“ და „არსენა მარაბდელის“ ავტორი გაუსამართლებლად, ჩუმად დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ.

კონსტანტინე გ ა მსახურდია

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბების პირველ ხანებში, ამბობს კ. სალია, ის(გამსახურდია.ხ.ჩ.) იცავდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და იზიარებდა გერმანული იმპრესიონიზმის ესთეტიურ პრინციპებს. მის იმდროინდელ ნაწარმოებებში: „ტაბუ“, „ჯაბუ“, „ქოსა გახუ“ „ქალის რძე“ და მის რომანში „დიონისეს ღიმილი“, ავტორი, სიმპატიებს ამჟღავნებს წარსულის ადამიანების მიმართ და უმდერის წარსულს!! შეხედეთ, როგორ სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული საბჭ. ოფიციალური პროპაგანდის გამოთქვები: მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებაა სიცოცხლით სავსე და მომავლის მქონე, ხოლო ნაწარმოებში, რომელიც მის იდეალიზაციას არ ემსახურება, არის წარსულის, მკვდარი საზოგადოებისა და ადამიანების მომღერალი. „დიონისეს ღიმილი“ კ. გამსახურდიას პირველი დიდი და შესანიშნავი ტილოა. მასში დახატულია 1920-ანი წლების დასავლეთი ევროპა, დანახული ავტორის კრიტიკული თვალით. მაგრამ რომანში მომქმედი გმირები არ არიან ლენინის რუსეთის სამსახურში და არ იბრძვიან რუსეთის მსოფლიოზე გასაბატონებლად, ამის გამო საბჭ. ლიტერატურის ოფიციალურ კრიტიკოსებისათვის: „ის წარსულს უმდერის და სიმპატიებს ამჟღავნებს წარსულის ადამიანების მიმართ“. სწორედ ამასვე იმეორებს ბატონი სალიაც.

„...მისი პიველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, აგრძელებს კ. სალია, „საბჭოთა რეალიზმი“ ამახველი, იყო სამ ტომიანი რომანი „მთვარის მოტაცება“. ის აღწერს კლასთა ბრძოლას საქართველოს ერთ სოფელში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დროს“-ო. ჯერ ერთი, საჭიროა ითქვას, რომ ეს ყუბად აღებული „საბჭოთა რეალიზმი“ სინამდვილეში ნიშნავს საბჭოთა წყობილების პატრიოტიზმს. ასეთი ვანრის ნაწარმოებებში დადებითი გმირები საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, მისი განმტკიცებისათვის თავდადებული მებრძოლები არიან, დაჯილდოვებულნი ყოველგვარი, ფიზიკური, მორალური და იდეური, კარგი თვისებებით, და მუდამ გამარჯვებული გამოდიან, რადგანაც მათთანაა ხალხის ნდობა და სიმპატიები.

განა მართლაც ასეთია კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“? ამ რომანის გმირთა მდიდარ გალერეაში მხოლოდ ორი ლაწირაკი ახალგაზრდაა საბჭოთა რეჟიმის დასაცურდენი: რაიკომის მდივანი ჩალმაზი და კომკავშირელი არზაყან ზვამბაია, რომელთა უკანაც მხოლოდ ჩეკა იგრძნობა. ყველა დანარჩენი კი- ხელისუფლების მოძულე და მტერია. ასეთები არა მარტო ყოფილი ნათავადრები და ნახუცრები არიან მხოლოდ, არამედ მშრომელი და ვაჟკაცი გლეხი კაც

ზემაბიათ, არზაყანის მამა, უსახლკარო ლუჯიაა ლაბახუა, გვასალიას ბიჭი ჯოტო და რამდენი სხვები, ეს იგი თითქმის მთელი მოსახლეობა. ამ რომანის მთავარი და საყვარელი გმირი თარამ ემხვარია. თუმცა ის ბრწყინვალე თავადიშვილთა ოჯახის შთამომავალია, მაგრამ სრულადად განთავისუფლებულია წოდებრივი უპირატესობის პრეტენზიებისაგან და არც ფრთხილად არც საქმით არ ილტვის თავისი წოდებრივი უპირატესობის აღსადგენად. თარამ ემხვარი ფიზიკურად მომხიბვლელი და ვიკაცია, ფრიად განსწავლული და ნიჭიერი, შეყვარებული მისი სამშობლოს დიად წარსულზე, რომლის უნუგეშო აწმყოც მას სიცოცხლეს უწამლავს. დამოუკიდებელი ხასიათის და აზროვნების ასეთი სიმპატიური გმირი თავის ადგილს ვერ პოულობს თავის სამშობლოში, სადაც გაბატონებულია უცხო რეჟიმი და უცხო იდეოლოგია, და იღუპება. მის მოპირდაპირე კომკავშირულ არზაყანს, რომელსაც ვითომც ცენტრალური ადგილი უკავია რომანში, გარდა სილამაზისა და ფიზიკური ძალისა, არაფერი სხვა სიკეთე არ გააჩნია, მკითხველი არ განიცდის მის მომხიბვლელობას, ის უფრო ჩვეისაგან გაბრყვებულ ახალგაზრდად გამოიყურება, ვიდრე იდეურ ბოლშევიკად. „მთვარის მოტაცებაში“ ადგებულია წოდებრივი ყოვლოჩინობის და ცრუმორწმუნეობის დიდმონაშთები, მაგრამ ამის გამო ნაწარმოები არ მიუკუთვნება „საბჭოთა რეალიზმს, გარნა დიდებოლი ილიაც, აკაკიც, დავით კლდიაშვილიც გამოდნენ მათ თავიანთ ნაწარმოებებში, მაგრამ რომელ ქუთათყოფელს მოუვა აზრად ისინი საბჭოთა რეალიზმის მიმდინარეობას დაუკავშირონ.

„მთვარის მოტაცების“ ავტორი შესანიშნავად გაწვრთნილ ჯამბაზსა ჰვავს: უფსკრულის თავზე გაჭიმულ ნაწარზე ის ტანის ტორტმანით მიაბიჯებს. საკმარისია ოდნავი წონასწორობის დაკარგვა და უფსკრულში ჩაიჩხვება. თუ მარჯვნივ გადაიხარა მას თავს დაატყდება ხელისუფლების(ბერეას) რისხვა, ხოლო მარცხნივ მისი ნაწარმოები იქცევა ყალბ და მოსაწყენ „საბჭოთა რეალიზმის“ ნაწარმოებად. თავისი იშვიათი წონასწორობით, კ. გამსახურდიამ სიცოცხლედ შეინარჩუნა და შთამომავლობასაც შემოუნახა ბერეის მიქმედი სურათი თავისი დროის საქართველოს.

ჩვენ ამდენს არ მოვთხოვდით ბატონ სალიას, მაგრამ „მთვარის მოტაცება“ არამც და არამც „საბჭოთა რეალიზმის“ ამსახველად არ უნდა გამოცხადებია.

„მთვარის მოტაცების“ განხილვისას, ბ-ნი კ. სალია კიდევ ერთ „სიბრძნეს“ უზიარებს მკითხველს: „ის(მთვარის მოტაცება) აღწერს კლასთა ბრძოლას საქ-ს ერთ სოფელში, კოლექტივიზაციის დროს.“-ო

დავიკვიროთ, რომ კ. სალია მართლაც ასე გულბრყვილია და არ იცის, რომ კოლექტივიზაციის დროს, არც მთელ საბ. კავშირში, და მითუმეტეს არც საქართველოში, ადგილი არ ჰქონებია არავითარ კლასთა ბრძოლას, არამედ გლეხები პასიურ წინააღმდეგობას უწყევდნენ ხელისუფლებას, წინააღმდეგი იყვნენ კოლმუერნობებში შესვლის, ცდილობდნენ შეენარჩუნებიათ თავიანთი კერძო მეურნეობები. სტალინის რეჟიმმა შექმნა მითი „კლასთა ბრძოლის“ შესახებ, რათა მარქსისტული თეორიებით გაემათლებია მილიონობით მშრომელი გლეხობის განადგურება, და ბარბაროსული მეთოდებით ჩატარებული კოლექტივიზაციის შედეგად გამოწვეული გაუფორარი შიმშილობა. საკითხავია, რა აიძულებს ბ-ნ კ. სალიას ეს მითი ჭეშმარიტებად გაასაღოს თავის ფრანგ მკითხველებს შორის?

ირაკლი აბაშიძე

კ. სალია ჩამოთვლის ჩვენი დროის ყველა ნიჭიერ პოეტებს და მწერლებს, მათ შორის არ ახსენებს ვრიგოლ რობაქიძეს. რატომ? „ამათგანო, ამბობს, ჩვენ ავარჩიეთ ქართული ეროვნული პოეზიის სამი ყველაზე უკეთესი წარმომადგენელი: ვალაქტონ ტაბიძე, ვიორჯი ლეონიძე და ირაკლი აბაშიძე.“ ჯერ არჩევანზე: პირველი ორის არჩევა მართებულია, მაგრამ ირ. აბაშიძე არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება „ქართული ეროვნული პოეზიის ყველაზე უკეთეს წარმომადგენლად.“ ირ. აბაშიძე მუდამ იყო და დარჩა ჩვენი დამპყრობელი, კრემლის, ერთგულ „კოლაბორატორად“. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სიტყვაკავშირული მწერლობის საბჭოურად გახედნის საქმეში, რისთვისაც კრემლს მისთვის წყალობა არ მოუკლია. ის არაერთხელ იყო არჩეული სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დებუტატად და მთელი რიგი მოწვევების განმავლობაში თავმჯდომარე საქ.ს.ს.რ-ის დებუტატთა საბჭოსი. ერთი სიტყვით, ირ. აბაშიძე უფრო საბჭოთა პოლიტიკოსია, ვიდრე პოეტი.

მე არ ვარ მომხრე პიროვნების და მისი ლიტერატურული შემოქმედების გაიგივებისა,

რომ საბჭოური ჩვეულების მსგავსად, თუ ავტორის პიროვნება დასაგმობია, მაშინ სავალდებულოდ, თუნდაც განუზომელად დიდი ღირებულების იყოს, შემოქმედებაც უნდა დაიგმოს და აკრძალოს. სრულიად შესაძლებელია, და არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლიტერატურიდან, როცა პიროვნება მორალურად ან პოლიტიკურად უმნიშვნელოდ იყო, მაშინ როცა მისივე შემოქმედება დადებითი და სასარგებლო საზოგადოებისათვის.

მაგრამ ირ. აბაშიძის პოეტური ქმნილებების უმრავლესობაც წყალში გადასაყრელია და მავნე, რადგანაც იგი მონობას უნერგავს ჩვენს ახალგაზრდობას, უმღერის ლენინს, სტალინს, ბერიას, ოქტომბრის რევოლუციას და მას თებერვალი მისთვის უყვარს, რომ ჩვენს მამულს თებერვალში გაუთენდა შვების დილა“-ო. მისი პოემა "რას გადაურჩა თბილისი", სწორედ "საბჭოთა რეალიზმისათვის" ჩვეული პათოსით, ასე მთავრდება:

„თბილისი-ზედ რომ ნათელი თბილისი-სადაც აენთო
მზის შუქი გადაფენია, დიდი სტალინის გენია.“

ირ. აბაშიძის ასეთი მლიქვნელური „პოეზია“, ვისაც აინტერესებს უხვად იპოვის განსაკუთრებით მის ძველ ნაწერებში. ასეთ კაცზე კ. სალია თვალის დაუხამხამებლად ბრძანებს: „პოეტი თავისუფალი ხილვისა და სრულიად ბუნებრივი თხრობისა, ის ყველაზე ერთგული გამგრძელბელია ქარ. კლასიკური პოეზიის ტრადიციების“-ო, თუ სალიას დაუჯერებთ ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციები ყოფილა დამპყრობელთა ჩექმების გაპრიალება.

ირ. აბაშიძეს აქვს საშუალო ღირებულების ზოგიერთი ლექსი: „აქ დავსახლდები“, „სამი ციხე“, „ნმა კატამონთან“ და სხვა, სადაც უღერენ წმინდა პოეზიის მოტივები, მაგრამ ვანა ისინი იკმარებენ რათა მათი ავტორი იმ უკვადავების კვარცხლბეზე დარჩეს, რომელზე-დაც ბატონმა კ. სალიამ შეასკუბა? მე ვფიქრობ, რომ არ იკმარებს.

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი

მის მიერ არჩეულ სამ პოეტიდან, კ. სალია ყველაზე ნაკლებს ლაბარაკობს გალაქტიონ ტაბიძე-ზე(მხოლოდ 45 სტრიქონი აქვს დათმობილი, მაშინ როცა, როგორც უკვე ვთქვით, ირ. აბაშიძეს 90 სტრიქონს უძღვნის). გ. ტაბიძე, არამც თუ ამ სამში, არამედ შეიძლება ითქვას, საერთოდ შეუღარებლად დიდი და განუთქმობელი ღირაქოსია. მისი პოეტური შედეგები: მე და ღამე, მერი, ატმის ყვავილები, მესაფლავე, ეფემერა, რა ამოძრავებს კვიპაროსის ტანს, მშობლიური ეფემერა, და სხვები, არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო პოეზიის მარგალიტებიც არიან. და მათი ავტორი, გალაქტიონისავე სიტყვებით, რომ ვთქვათ, უკვადავების ბინადარია..

გ. ტაბიძის შემოქმედება მკვეთრად არის გაორებული. პირველი პერიოდი, რომელიც 1924 წლამდე გრძელდება, არ ჰგავს მისი შემდეგი პერიოდისას, არც ფორმით, და არც, განსაკუთრებით, შინაარსით. პირველ პერიოდში პოეტს ახასიათებს უნუგეშობა, მწუხარება, მართლობა, სასურველის დაღაბით გამოწვეული გულსტიკვილი, სიკვდილის განცდა და ამის გამო უარესად ნაწი, ავადმყოფობამდე დასული გრძნობიერება. სულის ასეთი განწყობილება, პოეტს შთააგონებს ჭეშმარიტად ღვთიურ ჰანგებს. წინააღმდეგ ამისა, 1924 წლიდან მოყოლებული (რატომ მაინცდამაინც 1924 წლიდან? იმისთვის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად გაბატონდა მხოლოდ აგვისტოს აჯანყების შემდეგ.) გალაქტიონი ხდება საბჭოთა ხელისუფლების პოეტ-პროპაგანდისტად. ამ მეორე პერიოდშიდაც ხანგამოშვებით კიდევ იელვებს ოსტატის ცეცხლის ნაპერწკლები(ჭებთაა ჭება ნიკორწმინდას, წყალტუბოდან ქუთაისში და სხვა), მაგრამ მათ ძველბური წვა აღარა აქვთ. გალაქტიონის ჭეშმარიტი პოეზიის ცეცხლი 1924 წელში დაიფრვლა. დიდი პოეტის ამ უზარმაზარ გაორებას არ შეიძლება ღუმლით გვერდი აეაროს, როგორც ამას სჩადის კ. სალია. ამასთან ერთად, საჭირო იყო მიეთითებია გალაქტიონის იმ ლექსებზე, რომლებითაც ქართველი პოეტი ამაღლდა პოეზიის ისეთ სიმაღლემდე საიდანაც მას თამამად შეუძლია გაებაასოს ამერიკელ ელგარ ალენ პოეს და ფრანგ შარლ ბოდლერს-სიმბოლიზმის ამ ორ მსოფლიო მწვერვალს.

ცისფერყანწულები და გრიგოლ რობაქიძე

საქ-ში საბჭ. ხელისუფლების გაბატონების პირველ წლებში კიდევ არსებობდნენ ადრე დაარსებული ლიტერატურული ჯგუფები, შემდეგ, 1924 წლის შემდეგ, ერთმანეთზე მიყოლებით ყველა

მიმდინარეობები აიკრძალება. დარჩება მხოლოდ ერთი საბჭოთა ოფიციალური ლიტერატურა, პარტიისა და ჩეკას ღირებულებებისა და მჭიდრო შეთავაზურობის ქვეშ. რა თქმა უნდა, ამ ლიტერატურას საერთო არაფერი აქვს „ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებთან“ როგორც ამას წარმოგიდგენს ბ-ნი კ. სალია. პირიქით, ის გამარჯვებული საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდის ერთი დარგთაგანია, რომელიც ლიტერატურული ფორმებით სარგებლობს. ამ ფორმების ძიებაში მასზე ფარულ მაგრამ დიდ გავლენას ახდენენ აკრძალული მიმდინარეობები, რომლის გადარჩენილმა წარმომადგენლებმა თავი შეაფარეს ერთადერთი არსებულ და შესაძლებელ ოფიციალურ მწერლობას. განსაკუთრებით დიდია ცისფერყანწულთა გავლენა. დღეს საბჭოთა ოფიციალური კრიტიკაც იძულებულია აღიაროს, რომ ცისფერყანწულთა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში ლექსის განვითარების საქმეში, თუმცა ისინი არ ამბობენ თუ რა სასტიკად მოექცა უხეში ხელისუფლება მათ წარმომადგენლებს და როგორ უღროოდ ამოაშრა მათი შემოქმედების თავანჯარა წყარო.

ბა-ნი სალიაც მათსავით მორცხვობს, ცისფერყანწულებს მხოლოდ გიორგი ლენინძესთან დაკავშირებით ახსენებს, ხუთ სტრიქონში ასახელებს მის ოთხ წარმომადგენელს, როგორც მათ სულიერ უფროსს ვაკვრით ახსენებს გრიგოლ რობაქიძეს. ის, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობს ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის ტრავიკულ ბედზე. არ მიუთითებს არცერთ ცისფერყანწულთა ნაწარმოებზე. არ განმარტავს იმ თავისებურებას და მსგავსებას რაც არსებობს ცისფერყანწულთა ქართულ და მსოფლიო სიმბოლისტურ მიმდინარეობებს შორის.

დაბოლოს, დიდი გულსიტყვილით უნდა აღვნიშნო, რომ კ. სალიამ არ ისარგებლა შემთხვევით და თავის მკითხველებს საფუძვლიანად არ გააცნო ქართული პოეზიის ნამდვილად დიდი და თავისებური წარმომადგენელი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც აკრძალულია თავის სამშობლოში, მაგრამ რომის ნაწარმოებებსაც, მიუხედავად დიდი გამოთხისა, მანაც ჩუმიად კითხულობს ყველა ქართველი ინტელიგენტი. მარტო ის რად ღირს, რომ გრ. რობაქიძე, მხოლოდ საკუთარი საშუალებებით, გასცდა საქართველოს საზღვრებს და ქართული აზროვნება, ქართული მითოლოგია დასავლეთ ევროპას გააცნო და მოაწონა. გალაქტიონ ტაბიძის შემდეგ ქართული პოეზიის პარანასზე გაბატონება თუ ვინმეს ეკუთვნოდა ეს გახლავთ გრიგოლ რობაქიძე და არა სხვა ვინმე!

კ. სალიას უმადურება გრ. რობაქიძის მიმართ მით უფრო გაუგებარია, რომ მას თავი მოჰქონდა განსვენებულის მემკვიდრედ, აკი, მისი ნეშტი ენევიდან ლევილის სასაფლაოზე გადმოსვენა და მის საფლავს კარგი მარმარილოს ძეგლიც დაადგა. რამ, ან ვინ დაუშალა სიტყვიერი ძეგლიც დაედგა „ზედი ქართლისა“-ში?

არის შემთხვევები როცა მპყრობელს ჰყრობილთა უნდა დაუთმოს, მაგრამ დათმობას საზღვარი აქვს, რომლის გადალახვაც ლალატს ნიშნავს.

გიორგი წერეთელი

--- --- --- --- ---
ქ ა რ თ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა და ე რ ო ვ ნ უ ლ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა

არცერთი ერი ჯერ უცხო ერის მონობისაგან არ განთავისუფლებულა თუ ამ ერის პოლიტიკური მოძრაობა მჭიდროდ და შეხმატკმობილებულად არ ყოფილა დაკავშირებული ქვეყნის რელიგიასთან და ლიტერატურასთან.

საბჭ. ხელისუფლებამ წინასწარგამოანგარიშებულად და გეგმაზომიერად მოსპო ერის ეს სასიცოცხლო ოგანიზმები და მიიქდიდათ შემცივრდა ქართ. ხალხის წინააღმდეგობის უნარი. საქ-ოს გასაბჭოების შემდეგ სამი თაობა დაიზარდა ქარ-ლი ახალგაზრდობის. ისინი

დაიზარდნენ რუსული იმპერიალიზმის შარბათით მოწამლულები. მათ უნერგავენ უცხო იდეოლოგიას და უცხო კულტურას. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იკვებება რუსული გონების ნასუფრალით(თვით თბილისის უნივერსიტეტეც კი, ქართ-ლი ახალგაზრდობის ეს სამკუდლო მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების სრულ გავლენის ქვეშ იმყოფებიან, და ამით კიდევაც თავი მოაქვთ თბილისის უნივერსიტეტის და საქ. აკადემიის დღევანდელ ხელმძღვანელებს).

ქარ. ეროვნების ერთერთი ბურჯი, ქრისტიანული ეკლესია დიდხანია რაც გატეხა მტეტმა და მისი გავლენა თითქმის არარობამდე დაიყვანა. დარჩა სიტყვიერაზმული მწერლობა, რომელსაც გასული საუკუნის მაგალითით თავს უნდა ედვა ერის მეობის დამცველის საპატო



წინამძღოლობა. ვინ არ იცის: მეფის რუსეთიც გამაღებულ ვამართებულ პოლიტიკას ეწეოდა საქართველოს მიმართ, ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა მაშინაც უშუქლებელი იყო, და თუ მაინც ქართველობა გადაარჩა და სრულიად მომზადებული შეხვდა 1918 წელში საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას, ამის დამსახურება უპირველესად ეკუთვნის ილიას და აკაკის თქვით დალეულთა თაობას, მათ დიდმაშვილშვილურ თავდადებულ მოღვაწეობას.

გაბოლშევიკებულ რუსების შემოჭრის შემდეგაც ჩვენში, ქართულ ლიტერატურაში იყო დამპყრობელთა მიმართ წინააღმდეგობის ლამაზი და ამაღლებელი შემთხვევები. სამწუხაროდ მალე მოვიდა მათ ბოლო, ვინც უღმობელ რებრსიებს გადაურჩა, ყველას, თითქმის ყველას ქველ მოახრკენინეს, ძალით გაბატონებულ უცხო დამპყრობელთა სამსახურში ჩააყენეს და ციხე-ლად მგვდარ რუსულ ბოლშევიზმის საცხონებლად საცეცხლური აქანებინეს. არავინ იფიქროს, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდეს, არა, ჩვენს ერის მომავალს ამით დიდი ჰრილობა მიადგა. ამ დაკოდილი ლიტერატურის გავლენა დიდია დღევანდელ ახალგაზრდობაზე, და ეს მისი ცუდი გავლენა მომავალში კიდევ უფრო გაიზარდება, თუ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არ მოიხაზა.

დიდი ილიას დღეობი:
 „დიდი ღმერთის საკურთხევლის მისთვის დღევის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმე ვიყო ქმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად მეწვოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედავოს შტკიცე გული.“

დავიწყებული თუ არა, ყოველშემთხვევაში პრაქტიკულად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში აღარ ხორციელდება. ის ერის ქმუნვისა და სიხარულის ამსახველი კი აღარ არის, თითქოს „ერის უბედობით კი აღარ ედაგვის გული“, არამედ ის უმღერის და აღიდებს ერის მპყრობელებს: ლენინს, სტალინს, ბრეჟნევს, ოქტომბრის რევოლუციას, კომპარტიას, კომსომოლს და... რაც ყველზე დამაღონებელია, ხობტას ასხამს დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობის უბედურ თარიღს 25 თებერვალს.

განსვენებული იოსებ გრიშაშვილი ტყუილსაც აღარ თაკილობს და საჯაროდ აცხადებს: „ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვება საქართველოში იყო ჩემი პოეტური დაგეუკაცებოა“. კ. გამსახურდიაც კი ვერ აცდა ამ კარისკეულ პირმოთნეობას: „თუ რაიმე კეთილი შემეძინია, ეს მომიხსენებია ლენინის პარტიის და ხელისუფლების წყალობითა.“

პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელსაც ამ დღებში დიდის ამბით სამოცი წლის იუბილეს უხდიან, ასე უმღეროდა მრისხანე დიქტატორს:
 ბარაქიანმა შენმა მარჯვენამ ჩვენი პლანეტის ბატონ-პატრონი ფერი უცვალა მშობელ ბუნებას ეს შენ შეძელი ზღვათა გაჩრახ და მინდარეთა შემობრუნება ჯიქურ დადიხარ დედამიწაზე მზეც შენთვის მზეობს: მიწაც შენია...

და სხვა ასეთი ბრიყვეული პოეზიის ნიმუშები უსასრულოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ, მაგრამ სად გვაქვს მისი ადგილი ან ვის გამოადგება ის მომავალში

რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც, საბავშვო ბაღიდან მოყოლებული უმაღლეს სასწავლებლებს დამთავრებამდე, ამგვარი საზრდოთი იკვებება? აი საკითხი, რომელიც მე დიდთ მალეღვებს და მოხუცებულობას მიმწარებს.

ჩვენს ქვეყანას ნიჭიერი კალმოსნები არ აკლიათ, ალავ-ალავ იშვიათი მხატვრული ფურცლებიც შეგვგვდებთ, მხოლოდ ისინი არ პასუხობენ ჩვენს ერის ტრადიციას. მე მეტყვიან, რომ რეჟიმი არ ძღუდვით საშუალებას. ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ ამის ცოდნით და თქმით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ერი რა ერია თუ მას თავისი წამებულნი არ ჰყავს. ის ლიტერატურა რა ლიტერატურაა, რომელიც მხოლოდ ოფიციალური გზებითა და საშუალებებით კმაყოფილდება. ქეშმარიტმა ხელოვნებამ უნდა ეძებოს სხვა, ოფიციალურად აკრძალული, გზებიც. რატომ რუსი სოლჟენიცინი, მაქსიმოვი, სინიავესკი, ვალანო, ზინოვიევი და სხვები ახერხებენ თავიანთ ნაწარმოებებს საზღვარგარეთ დაბეჭდვას, და ქართულ ენაზე, რომელთაც გაცილებით უფრო ძლიერი საფუძვლები აქვთ, ეს დღემდე ვერ მოახერხეს? აქ, უამკველად, ჩვენ-პოლიტიკური ემიგრაციის-თავმცემი უნდა გავიციხოთ, რადგანაც ამ საქმეში მათ ვერ ვეხმარებით და ვერ ვაქეზებთ. დიხა, თუ რუსი კონტესტატერები დასავლეთში ახერხებენ მათ სამშობლოში აკრძალულ ნაწარმოებებს გამოცემას, მათ ამაში უეჭველად ხელს უწყობს აქ მცხოვრები

მათი რუსი თანამემამულეებია. ჩვენ რიცხობრივად რუსებია ვერ შეგვედრებთ და არც იმათ ოდენი განმავლობა გავაჯანია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ჩვენი შეგვეძლო უფრო მეტი საქმის გაკეთება, რომ უკეთესი ორგანიზაცია და დარაზმულობა გექონებოდა.

გრიგოლ წერეთელი
ქართველი
ინჟინერი
მედიკოსი

გვივი კარბელაშვილის სიბრიყვენი და უმეცრებანი

ვახუთ „სამშობლოს“ რედაქტორს ბ-ნ გ. კარბელაშვილს, მიმდინარე წლის ივნისში, საფრანგეთში და ბელგიაში უმოგზაურებია. უკან დაბრუნებულმა, თავისი გაზეთის 13 და 14 ნომრებში მოგზაურის შთაბეჭდილებების ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომლის მხოლოდ სათაურიც კი „უსაქართველო დღეც წუ მაცოცხლა“ თავისთავად მეტყველებს ავტორის ეკიბობაზე, მის აღამიანურ ავლადიდებაზე; იმის მაგვრად, რომ სამშობლოს უხელშეუბნის გამო გადმოხვეწილ მის მოთაყვანე და მადიდებელ შვილებს დედამამშობლოს სალამი, მისგან დაუფიწყებლობის გამომხატველი სიტყვები გადმოგვცეს, ნიშნის მოგებით დაგვძახის: „ჩემთვის რამოდენიმე დღეც აუტანელი იყო უსაქართველოდ და თქვენ მად-უცხოეთში-ათეული წლებით როგორა ჰყრინართო“, არა, მთლად ამ სიტყვებით არ აქვს გამოთქმული კარბელაშვილს, მაგრამ აზრი სრულიად ასეთი აქვს. ჩვენს შეურაცხყოფას, კრემლის მსახურ გ. კარბელაშვილისგან, მიჩვეული ვართ, ეხლაც მას არაფრად ჩავაგდებდით, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ თვით კრემლის მსახურისთვისაც უხატებელია, როცა ის ისტერიულად გაჰკივის: „...საქოთა საქართველოსი, რამეთუ სხვა საქართველო, სხვა გურია, სხვა სამეგრელო, სხვა იმერეთი თუ კახეთი, ქართლი თუ რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა თუ აფხაზეთი, სხვა ქუთაისი თუ თელავი, სხვა ზუგდიდი თუ მხახარაძე-ოზურგეთი, სხვა ნეტარი თბილისი ქვეყნად არ არსებობს და არც იარსებებს?!-ოჲ, აი ქარ ვლინდება სიბრიყვე და უმეცრება თქვენს, რედაქტორო კარბელაშვილო! დაბახებულ ცოტა საქართველი ხალხის ისტორიას, საქართველომ მოინელა სპარსი, რომი და ბიზანტია, , სკვითი და ხაზარი, მონგოლი და ბრწყინვალე პორტა, საქართველო კი დარჩა სულ უბრალოდ საქართველოდ, 60წლის წინად შეფის რუსეთი დაინგრა, საქართველო კი დარჩა უბრალოდ საქართველოდ, დვისი შეწყენით საბჭოთა იმპერიაც დაიმსხვრევა და საქართველო კიდევ იარსებებს უბრალოდ, უუპიტიტოდ საქართველოდ! სულმნათი აჯაკის სიტყვებით რომ დავამთავროთ: „ვინც შენატრის იმის სიკვდილს უმალ მასვე დაამიწებს“.

გვივი კარბელაშვილი, რომ გადმოხვეწილ თანამემამულეებს წვეოდა, მიუხედავად, რომ ის ღირსი არ არის, მაინც, უკეთ უმასპინძლებდნენ და უკედაც ვააცნობდნენ პარიზსაც და მთელ საფრანგეთსაც, მაგრამ კრემლის მსახურ კარბელაშვილს ეს არ შეეძლო. მიუხედავად ერთგული სასახურისა კ.გ.ბ. მაინც არ ენდობა მთლიანად და წინასწარ დაგვეგმილი მისიით, მის მოსკოვად, კიეველ, მინსკელ, ერენელ, ბაქოელ და სხვა კოლეგებთან ერთად გადაბმული თუ ხელიხელ ჩაკიდებული გამოუშვეს, ხოლო ჩამოსულებს წინ შეახვედრეს, იგივე კრემლის თვალყურის ქვეშ მყოფი საფრანგეთ-სსრკ-ის საზოგადოება, მათი თარჯიმან-გიდით. ასეთ პირობებში თუ მან დამახინჯებული ცნობები მიიღო ეს რა გასაკვირველია, მაგრამ თვით კარბელაშვილი, რომ ცეტრი არ იყოს, ჩვენ-საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს-ვიღაცეებისაგან ვაგონილ სიბრიყვეს ხალაქ შემპირებებად არ ვაგვისალებდა. სიბრიყვეა მამ რა ჯანდაბაა, როცა კარბელაშვილი გვარწმუნებს, თითქოს ცივილიზებულ ევროპაში დედამამშობლოსად არ არსებობდეს, რომ თითქოს მამა შვილის უპროცენტოდ და უხელწერილოდ ფულს არ ასეხებდეს, თითქოს მალაზიებში მუშტარი არ იყოლდა რამდენი კიდევ სხვა , მაგრამ უმჯობესია თავად ავტორს მივცეთ სიტყვა: „...ყველაფერი, ყველაფერი...ოღონდ ძვირი, უძრავი და უძრავობით დაძველებულიც; პერანგი, ვოქვათ, რასაკვირველია, არ ძველდება და არ ფუჭდება, თუმცა მოღაგასულის ფასიც ეცემა, მაგრამ მუდმივ კალამში, მავალითად ძალიან კარგად გაკეთებულ კალამში, პასტა აუცილებლად გამშრალაა, სანთებელაში ვაზი გამოვლულია...სასიტყველო პარიზული სუნამოები იმდენხანს აწყვია მალაზიებში გაუყიდავად, რომ საუკეთესო შეფუთვის მიუხედავად თვითონ სუნამოს ღონე წლებს განმავლობაში კლებულობს... სურსათი? უამრავი, კარგად წარმოჩენილი, ყველა ქვეყნიდან შემოტანილი, მაგრამ... უმუშტრო, თითქმის უმუშტრო!“ არა, ასეთ სიბრიყვეს თვით საფრანგეთ-სსრკ-ის საზოგადოების წარმომადგენელიც ვერ ეტყოდა, ასეთ სიბრიყვეს გარდა საბჭოთა ცრუპენტელა პროპაგანდისტისა არავინ არ იკადრებს.

წუ იტყვიოთ, თურმე: „საფრანგეთის მიწა-წყალც ისე იყიდება, როგორც პიგალის

გოგოები." საწყალო ფრანგები! იქნებ კარბელაშვილმა გიშველოთ რამე, თვარა, სულ მალე ამერიკელი იანკები დაეპატრონებიან მთლიანად საფრანგეთის მიწა-წყალსა და ფრანგი გოგონებიც აღარ გადურჩებათ გაუბრუნელი.

კარბელაშვილის სიბრძნე იქამდე მიდის, რომ ფრანგულ ღვინოებსაც ბორდოს ღვინოებს! იმ ბორდოს ღვინოებს, რომლებიც და მერე რომელ ფრანგულ ღვინოებს? ბორდოს ღვინოებს! იმ ბორდოს ღვინოებს, რომლებიც ელიქსირივით, თავის წონა ოქროს ფასად იყიდება მთელს ლუწიაზედა. საქართველოში ვის არ გაუგონია არაკი: „შავს ლუწას, წითელ ღვინოსა, განა ერთფერი სმა უნდა?“. თუ ბორდოს ღვინო რუსული სამოგონივით გადახუბეთ „ბორდოს ღვინოს გემოს ვერ მოუშინჯავთ (თქვენნი ქართულით რომ ვითხრათ, ბატონო კარბელაშვილო) და საერთოდ ფრანგული ღვინოები, რომ შეაფასოთ, დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცხოვროთ საფრანგეთში.

ეს მაგალითი სხვათაშორის მოვიტანე გ. კარბელაშვილის სიბრძნის ნიმუშად, თორემ მას, რომ ბორდოს ღვინოებს ქართული ღვინოები ერჩიოს, ეს ჩვენ სრულმეტაოც არ გვადონებს. ქართული ღვინოები რომ კარგებია, ჩვენც კარგად ვიცით. თუ ისინი მსოფლიოში ტოლედებ ფრანგულ ღვინოებსაც სჯობიან, ამაზე უკეთესი რაღა იქნება. მაგრამ ფრანგულ ღვინოებში აღებული უცხო ვალუტით დიდათ არის გაღალბებული, როგორც ფრანგი მეღვინე, ისე საფრანგეთის სახელმწიფო. ერთი ესეც გვიბრძანებ ბატონო კარბელაშვილო თუ სად მიდის ის ვალუტა რომელსაც ქართული ღვინოების საფასურად იჩხრიალებს საღაროში სსრკ-ის საიმპორტო-საექსპორტო ბანკი?

ბატონ კარბელაშვილის სიბრძნე ზენიტს აღწევს, როცა ის ლაპარაკობს პოლიტიკურ გამომხვეწილებზე. თურმე, ნუ იტყვიოთ! ხუთი პარტია არსებულა, ხუთი „ჟურნალ-გაზეთი“ გამონავალა, რომლებსაც უწინწყლებოდ ვერ ახსენებს, რადგანაც ხუთივე ისეთი ცული ქართულით ყოფილა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართულის დონეზეც ვერ ყოფილან. ჯერ ერთი, გ. კარბელაშვილს, რომ ვეჭვთ, ნამდვილად არ გვესიამოვნებოდა, ეჭვი შეგვივიდოდა ვაი თუ ჩვენდა უნებურად რამე ვაგენთ ჩვენს ქვეყანას თქვა. შემდეგ, ქვეა მტრისგანაც ისწავლება, კარბელაშვილს, რომ მაგალითები მოეყვანა ჩვენი წინწყლებიან ჟურნალ-გაზეთების ცული ქართულის დამამტკიცებელი, დიდათ დაგუმადლებდით და ვეცდებოდით მომავლისათვის გამოგვესწორებია, მითუმეტეს, რომ ჩვენ თავი არ მოგვაქვს არც ქართული ენის უმცდარობით, არც პროფესიონალურ ჟურნალისტობით. განა ჩვენ თავად არ ვიცით, რომ ჩვენ ემიგრანტულ გამოცემებში ხშირად კორექტორული შეცდომებია? იქნებ ზოხრად სასენი ნიშნები თავის ადგილას არ იყვნენ, ან ვრამბიტაც მიიკოქებდეს, მაგრამ არაიბები და ხელმოკლენი რო ვიყოთ ეს რა დასაძრახისია? ჩვენ ხომ რაც ვაგვანია იმას ვწირავთ ჩვენი ქვეყნის საყურთხვევლზე. მაგრამ, თუ მაინც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ქართულის დონე მეცხრამეტე საუკუნის ქართულის დონეზე დგას, ეს არც ისე ცულია, რადგანაც ეს არის საუკუნე ილიასი, აკაკისი და ვეპასი და ჩვენ მათზე უკეთესს ვერც ვისურვებდით. თუ ნახევარ საუკუნის განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტელ ადამიანის ქართული მოიკოქებს არც ეს არის გასაკვირველი და სასირცხველო, მაშინ, როცა თავად კარბელაშვილს ნაკლებად ეპატიება, რადგანაც ის სპეციალობით ლიტერატორია, ჩვენსავით ქარხნებში კი არ მუშაობს, არამედ ჟურნალისტობის გარდა სხვას არაფერს არ აკეთებს, მუდმივად საქართველოში ცხოვრობს, დაბოლოს, ამის განკარგულებაშია ყოველმხრივ მოწყობილი სტამბა, რედაქტორების და კორექტორების არმია, ხოლო თუ რაგვარ პირობებში იცემა ჩვენი წინწყლებიანი ჟურნალ-გაზეთები ამის წარმოდგენაც კი არ შეიძლება ჰქონდეს მას.

ჰოდა, მიუხედავად ყოველივე ამისა, კარბელაშვილის ამ გაპრანჭულ წერილშიაც არაერთი ადგილია ცული ქართულით დაწერილი: მაგალითად, ერთგან ნათქვამია: „...აპოლონ და ნიკოლა ანთაძეების პარიზისეული მცირე სავანე“-ო ამ წინადადების ქართული, რომ არ ვარგა ეს ცხადია. აქ ორი შეცდომაა: პირველი „პარიზისეული“, უნდა იყოს პარიზული ისევე, როგორც თბილისური, ქუთაისური და სხვა. მეორე შეცდომაა „სავანე“, ვინც არ იცის ეგონება, რომ აპოლონ და ნიკოლა ანთაძეებს მონასტერი უნებ პარიზში, რადგანაც ქართულად სასაიდლოს ან სხვა საჯარო გასართობ სახლს არამც და არამც არ შეიძლება ეწოდოს სავანე. ასევე, „მე შენს ღვინოს გემო „მოვუსინჯე“ ქართული არ არის, რადგანაც ქართულში ღვინოს გემოს „უშინჯავენ“, ხოლო ნიადაგს, გზებს ან საშუალებებს მოსინჯავენ, რა თქმა უნდა ყველას ჯობია თქვა: ღვინოს ქაშნიკი გაუშინჯა. არც კარბელაშვილის მიერ

ნახმარი და წინწყობაში ჩასმული სიტყვებია: „პარტიობანობისა“ და „გაზეთობანობისა“, არ არიან იაკობ გოგებაშვილის და ილია ჭავჭავაძის ტკბილი ქართული სიტყვები, არამედ მათზე უფრო სწორი იქნება თვით კარგელაშვილისავე დახასიათება ვიხმაროთ, რომ ისინი „საკრდავი, ძალიან უბადრუკი ქართული ნატიანი“ სიტყვებია და მისი ავტორი ჩვენი გერმანული ჟურნალ-გაზეთების არც პოლიტიკურ და არც ენობრივ რედაქტორად არ გამოდგება.

რაც შეეხება ემიგრაციაში პარტიების სიმრავლეს, ეს ბატონ კარგელაშვილს ნუ აღელვებს, ეს არ არის უბედურება. პირიქით, მე ვისურვებდი, რომ საქართველოსავე ჰყოლოდეს ხუთი და მეტი პარტიაც, მათ შორის, თუ გნებავთ, იყოს ბრუტენეის კომპარტიაც, მხოლოდ ქართველ ხალხს ჰქონდეს მათ შორის თავისუფალი არჩევის უფლება. გვერწმუნე ბატონო კარგელაშვილო, ამით საქართველო არაფერს წააგებდა, არამედ ბევრს მოიგებდა. მაშინ, ქართველი კაცის შრომა უფრო დაფასდებოდა, საქართველო მეტი ღირვითი აივსებოდა, ქართული ენა კიდევ უფრო უმდიდრდებოდა და დაიხვეწებოდა, საქართველოს სახელმწიფო კვლევა აღსდგებოდა და თანაბარ ერთა შორის თანაბარი, რუსეთის უბრალო პროვინცია აღარ იქნებოდა. და სწორედ ეს არის ემიგრაციის მიზანი, მისი ბრძოლის, მისი უცხოეთში დაყოვნების ღედააზრი. კარგელაშვილებს, რომ ეს არ მოსწონთ, ეს რა გასაკვირია! მაგრამ ამას, რომ ჩვენს წასაკითხად თეთრ ქალაღზე შავი ასოებით გვიწერს, ეს უკვე მისი უგუნუბნისა და უცილობის ბრალია.

გ. წერეთელი

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო უ რ ო ც ე ლ ი

ნოე ცინცაძე

23 სექტემბერს გარდაიცვალა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის უკანასკნელი წევრი—ნოე ცინცაძე. ნოემ დიღანას იცოცხლა. 92 წლისა იყო. ადამიანი იშვიათად აღწევს ამ ასაკს. მისი ცხოვრებიდან წასვლა იყო ბუნებრივი, ნორმალური. მიუხედავად ამისა, ამ ამბავმა დიდი გულსტკივილი გამოიწვია ჩვენში.



ნოე იყო ძალიან კარგი ადამიანი, გულკეთილი, კეთილ-შობილი, მეგობრულად განწყობილი სხვების მიმართ, ყოველთვის მზად იყო დახმარება გაეწია სხვებისთვის. და, უწინარეს ყოვლისა, ის იყო უკომპრომისო მეტრძოლი, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, თავისი იდეალებისათვის.

უმადლესი განათლებით აღჭურვილი, ფიზიკოსი, ის ახალგაზრდობიდანვე შეუერთდა საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიას, სოციალურ სამართლიანობის, ადამიანის და ერთა თავისუფლების იდეალების სამსახურად. კერძოდ, საქართველოს ავტონომია, ჩვენი ერისათვის მას აუცილებლად მიაჩნდა.

რევოლუციის და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ნოე ცინცაძემ, როგორც მთავრობის წევრმა— განათლების სამინისტროში— დიდი როლი ითამაშა. ყველამ იცის, რა ძნელი საქმე იყო საშუალო და უმაღლესი განათლების ქართულ ენაზე დაფუძნება, ქართული სახელმძღვანელოების შექმნა. ამ დარგში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

და, შემდეგ, როცა საქართველოში რუსეთის ჯარი შემოიჭრა და რუსეთის მთავრობამ, მეორეჯერ ასი წლის განმავლობაში, მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, მიუხედავად დადებული ხელშეკრულებისა, ნოე გადავიდა არაღვეალურთა რიგებში და უშიშრად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამისათვის ის, სხვებთან ერთად, დაბატონებულ და შემდეგ უცხოეთში იქნა გადმოსახლებული.

სამშობლოს გარედ, მან განაგრძო დაუღალავი ბრძოლა ქართველი ერის უფლებების აღსადგენად. მისი მოღვაწეობა, უმთავრესად, სოც. დემ. პარტიაში მიმდინარეობდა. მისი მოქმედების დამახასიათებელი თვისება იყო სურვილი ყველა თავისუფლებისათვის მეტრძოლი, პროგრესული ძალების შეთანხმება და გაერთიანება. რა ენერგიით და თავდადება იბრძოდა ის, რომ შინაპარტიულ უთანხმოებას ბოლო მოეღებოდა?! შემდეგ, ის აუცილებლად სთვლიდა, რომ ერის სხვადასხვა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, რომელნიც საქართველოს სუვე-



რენობისათვის იბრძოდნენ, დემოკრატიის და სოციალური სამართლიანობის მომხრე იყვნენ, სე-
ერთო ფრონტში გაერთიანებულიყვნენ.

დაბოლოს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ნოემ მთელი თავისი უსახლკარო
ენერგია მოახმარა რუსეთის მიერ ჩაგრულ ერთა გაერთიანებას, მათ ერთობლივ ბრძოლაში
ვისუფლებსათვის. ამ სფეროში, ნოემ დიდი როლი თამაშა, უკანასკნელ წუთამდე, როგორც
ხელმძღვანელი ამ ეტაპის საერთო ორგანიზაციის, ის ამ საქმეს ემსახურებოდა.

ნოეს მოშორება ჩვენგან-ყველასათვის დიდი დანაკლისი იქნება.
საქართველოს ახალი თაობა, თავის დროზე, პატივს სცემს მის ხსოვნას.

მ. ხუნდაძე

ნოე ცინცაძის დასაფლავება

29 სექტემბერს, სოფ. ლევილის კათოლიკური ეკლესია, სადაც განსვენებული ნოე ცინცაძის პა-
ნაშვიდი იქნა გადახდილი, უამრავლმა დამწუხრებულმა თანამემამულეებმა გააცეს. წინასწარი
განზრახვით, დასაფლავებაზე დასასწრებლად მოწვეული არ ყოფილან უცხო ორგანიზაციების
და საზოგადოებების წარმომადგენლები, ეს დანიშნულია გარდაცვალების წლისთავისათვის.

მოდგარმა ილიამ წესი აუგო და წირა: განსვენებულის სულისათვის. გამოსათხოვარი სიტ-
ყვებით მიმართეს ექტორ ხომერტიკმა და მიშა ხუნდაძემ ფრანგულად, პავლე სარჯველაძემ და
შალვა კალანდაძემ ქართულად.

წაკითხული იქნა სამძიმრის დებულები და წერილები, რომელთაგან აღსანიშნავია:
უკრაინის რადისი, ბელორუსიის მთავრობის უცხოეთში, პარიზის ბლოკის, პარგარდის უნივერსი-
ტეტის და რადიო თავისუფლებისა.

საფლავთან, მოკლე პანაშვილის შემდეგ, გუნდმა შეასრულა დიდება, რმლის ხმებზედაც
საფლავში ნელნელა ჩაუშვეს მსცოვანი სახელმწიფო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს
მთავრობის წევრის, გადმოხვეწილობაში არსებული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-
ტის თავმჯდომარის, ნოე კონსტანტინეს ძე ცინცაძის ცხედარი.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!

თ. ტ.

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

ა.წ. 16 სექტემბერს ლონდონში გარდაიცვალა, 64 წლის ასაკში, გივი მამულაიშვილი.
განსვენებულის ანდერძის მიხედვით, ცხედარი გადაეცა ანატომიის ინსტიტუტს.

ქალაქ უენ ლე პენში(ალპ-მარტიმის დეპ.) გარდაიცვალა ღრმად მოხუცი სიმონ მიქელაძე.

პარიზში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და ლევილის სასაფლაოს მიზარდა
ბრწყინვალე მხედარი, დიდი პატრიოტი და იშვიათი ადამიანი-სიმონ აბაშიძე.

გარდაიცვალა დიმიტრი ალავიძე და მისი ცხედარი მიზარდა ლევილის სასაფლაოს, 12 ოქტომბერს.

მწარედ ვგლოვობთ მათ დაკარგვას და ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ
მათ უნუგეშო ქირისუფლებს.

გ უ ლ ნ ა რ ა პ ა ტ ა რ ი ძ ე - უ რ ა ტ ა ძ ი ს ა
მადლობას უხდის ყველას, ვინც მისი მუუღლის, დავითის, დაკარგვით გამოწვეული
მწუხარება და გლოვა გაიზიარა.

განზრახულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე აიგოს ძეგლი, მეორე დიდ მსოფლიოში, საქართ-
ველოს განთავისუფლებისათვის დაღუპულ მამულიშვილთა უკვდავსაყოფად. ამ საქმეში, თქვენც
წვლილი შეგიძლიათ გადაუზღავნოთ: **M. G. VATCHNADZE. square de l'al boni. 75016 Paris.**

ვიქტორ რცხილადის „გასამართლება“



როგორც ვიტყობინებოდით, ვ. რცხილადე მეორედ დააპატიმრეს ამ გაზაფხულზე. მას შემდეგ მის ბედზე სარწმუნო ცნობები არაფერი გვექონდა, ხოლო სხვადასხვა შეუთმობებელ სხვათა გამეორება უფრო კრემლის წისკვილზე დაასხავს წყალს, ვიდრე სწრაფის სამსახურს.

7 სექტემბრის გაზეთ „კომუნისტი“ არის „საქინფორმის“ ოფიციალური სააგენტოს განცხადება ვ. რცხილადის გასამართლების და გამოსვლის ლმობიერი სასჯელის გამოტანის შესახებ. „საქინფორმის“ მიხედვით, ასეთი შეწყალება გამოიწვია: „განსაჯელმა რცხილადემ მთლიანად აღიარა წაყენებული ბრალდების სისწორე, დაგმო დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელსაც თანამზრახველებთან ერთად ეწეოდა.“ „საქინფორმი“ აგრძელებს, ვითომც ვ. რცხილადეს, სასამართლოსთვის გაეცხადებოდა: „ჩემი წარსული სამარცხვინოა“-ო, რამდენადაც ჩვენ მას შორიდან ვიცნობთ, მისი წარსული არამც თუ სამარცხვინო არ არის, არამედ მისაბაძიცაა, მხოლოდ, თუ „საქინფორმის“ მიერ გამოქვეყნებული სიტყვები მართლაც მას ეკუთვნის, მაშინ რცხილადის აწმყო მართლაც სამარცხვინოა, მისი მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ დღევანდელი საბჭოთა პოლიტიური რეჟიმი უადრესად ფაშისტური ბუნებისაა, და, რომ ის არავითარ საშუალებებს არ ერიდება პიროვნების მეობის გასანადგურებლად. კვებენ, ეს საბჭოების „ტონტონ მაკუტები“, მსგავსად ცენტრალური ამერიკის ეფემერული რეჟიმებისა, უწყალოდ ანადგურებენ ყოველივეს, რაც ძვირფასი და საამაყო ადამიანებში: ნებისყოფა, რწმენა, პატიოსნება და კეთილშობილება, საკუთარი მეს პატივისცემა და მისი გაფრთხილება.

ბარბაროსობა გრძელდება

უკრაინის სასამართლომ, სექტემბრის პირველ რიცხვებში, ეკონომიური ხასიათის ბრალდების გამო, უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა მიუსაჯა ოთხ ებრაელს, რომელთაგან სამი: რაფიელ აჯი-აშვილი, გაბრიელ სეფიაშვილი და ილია მიხელაშვილი ქართველებია, ხოლო მეოთხე ჩრდილოკავკასიელი (გაზ. „ილია საქართველოდან“ 22.9.78).

ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ასეთი ბარბაროსული განაჩენის გამო. ყოვლად შეუწყნარებელია ადამიანების სიკვდილით დასჯა მხოლოდ ეკონომიური ხასიათის დანაშაულისათვის. მოვითხოვთ განაჩენის გაუქმებას, მათ სიცოცხლე აუცილებლად უნდა შეუნარჩუნდეთ.

თბილისის უნივერსიტეტი 60 წლისაა

თანამედროვე საქართველოს ეროვნულმა სიამაყემ, თბილისის უნივერსიტეტმა, თავისი არსებობის სამოცი წელი იღვრისაწაა.

მიუხედავად კრემლის სასტიკი დაწოლისა და მიუხედავად ზოგიერთი ქართველის დელატისა, რომელთა შორის მისი ხელანდელი რექტორი, ჩხიკვიშვილი, უნდა მოიხსენიოთ, უნივერსიტეტის მასწავლებელთა და მოსწავლეობა დიდი უმრავლესობა დირსეულად აგრძელებს, მის საფუძვლების ჩამყრელ დიდ მამულშიველთა საქმეს, ქართული ენისა და ცივილიზაციის ძირითადი კერისა და საქართველოსათვის სამეცნიერო და უმაღლესი პედაგოგიური კადრების მოზადებისას.

14 აპრილს გამართული დემონსტრაციით, საქართველოს უნივერსიტეტმა გამოავლინა მისი დიდი გავლენიანობა საქართველოს საზოგადოებრივ აზრზე. როგორც ფოლადი ცეცხლში იწრობა, ისე ყოველი ადამიანური დაწესებულებაც მძლავრ წინააღმდეგობებში უნდა გამოიბრძმოს. თბილისის უნივერსიტეტის წრთობის საუკეთესო საშუალებაა მისი შეურთგებელი ბრძოლა ქართული ეროვნული მეობისათვის, რომელიც არ შეიძლება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს შექმნით არ დაგვირგვინდეს.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ახალი ტომი

ოქტომბრის დასაწყისში გამოვიდა „ქართ. საბჭოთა ენციკლოპედიის“ მესამე ტომი მასში შესულია ტერმინიდან „გარიგება“ ტერმინ „ეგემდე“, შეიცავს სულ 4856 სტატიას, რომელშიც 1000-ზე მეტი ტერმინ-სტატია მიძღვნილია ქართულ სინამდვილისადმი.

ჭადრაკის ახალი მსოფლიო დედოფალი—მაია ჩიბურდანიძე



უპირველესად, მკითხველების ყურადღება უნდა მივაქციოთ ჭადრაკის თამაშის ფენომენ ქალიშვილზე მაია ჩიბურდანიძეზე: ცამეტი წლის ასაკში, ის უკვე იყო საერთაშორისო დიდოსტატი, თექვსმეტი წლის საკავშირო ჩემპიონი, რის შემდეგ ზედიზედ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები: ნანა ალექსანდრია, ე. ახმილოვსკაია და ან. კუშნირი და, 17 წლის გოგონამ, სექტემბერში, მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე გამართული მატჩი, რომელიც ბიჭვინთაში ჩატარდა 8,5-6,5-ის ანგარიშით მოიგო.



მსოფლიო ჩემპიონი ყოფილი ჩემპიონი
მაია ჩიბურდანიძე ნონა გაფრინდაშვილი

1962 წლიდან მოყოლებული, ჭადრაკის მსოფლიო დედოფალი იყო მაია ჩიბურდანიძესთან დამარცხებული ნონა გაფრინდაშვილი. ამრიგად, საქართველოს საშახმატო სკოლა სამართლიანად ამყარებს: მას ყავს არამარტო მსოფლიო ჩემპიონი, არამედ აგრეთვე მსოფლიოში სამი უძლიერესი მოჭადრაკე ქალიც(ნანა ალექსანდრიას ჩათვლით) და მთელი პლედია ძლიერი მოჭადრაკე გოგონებისა. მაია ჩიბურდანიძეს ჩვენი აღფრთოვანებული სალამი და სურვილები მომავალი წარმატებების, რათა შორს გაეტანოს ქართველი ქალის კარგი სახელი.

ერთა საერთაშორისო ტურნირზე

ნოემბერში, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში ჩატარდა ერთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდმა, რომელშიც თამაშობდნენ: მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ელენე ახმილოვსკაია, წაუგებლად, ჯერ კიდევ ტურნირის დამთავრებამდე, პირველ ადგილზე გამოვიდა.

კარბოვ-კორჩნოს მატჩი

საჭიროდ მიმაჩნია აქვე თავ. ტრიბუნის აზრი გამოვთქვა ვაეთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაბრუნებლად გამართულ მატჩზე, რომელიც ფილიპინებში ჩატარდა. გონებრივი სპორტის ამ კეთილშობილური დარგის მოყვარულთათვის ის იყო დიდი იმედგაცრუება. საბჭოთა კავშირის ოფიციალურმა ჩემპიონმა ანატოლი კარბოვმა, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი, უბრძოლველად, ძღვნად მიიღო, მსოფლიო ჩემპიონ ბობი ფიშერისაგან. კარბოვს ამეხმად მიიწვ უნდა დამეტკიცებია, რომ ის უდავოდ ღირს იყო თავისი მაღალი წოდების. ეს მით უფრო, რომ ამჯერად მის წინააღმდეგ გამოდიოდა ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, ამეხმად უსამშობლო ვიქტორ კორჩნო. კარბოვმა თავისი უპირატესობა დამაჯერებლად ვერ აჩვენა, საბჭოებმა მას მიაშველეს ჰიპნოტიზორი, თავის დასაცავად კორჩნო იძულებული იყო ინდოელ თუ ტიბეტელ ფაქირებისათვის მიეშართა და ამრიგად გაიმართა გულის ამრევი ჭიდილი შავ-ბნელ ძალებისა, საიდანაც, დიდი გაჭირვებით, საბჭოთა გაპროტიზორი გამოვიდა გამარჯვებული, მაგრამ კეთილშობილმა ჭადრაკმა კი დიდი მარცხი განიცადა.

ცნობილია, ფიდე, ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაცია, დიდ დაწოლას განიცადის საბჭოთა ხელისუფლებისაგან, ეს უკანასკნელები საერთოდ სპორტს და კერძოდ ჭადრაკს თვლიან, როგორც საშუალებას თავიანთი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სისტემის უპირატესობის მაჩვენებლად, ამიტომ ისინი ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ თავიანთი ჩემპიონების გასამარჯვებლად, და ეს ხდება არამარტო საერთაშორისო მასშტაბით, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის შიგნით, დაპყრობილ ერების სპორტულ გუნდებზე რუსული გუნდების გასამარჯვებლად. ამის გამო ხშირია სამწუხარო ინციდენტები თბილისის ფეხბურთის სტადიონზე, როცა მსაჯები, უკანონო საშუალებებით ცდილობენ რუსი ფეხბურთელების გამარჯვებას ქართველებზე.

თბილისელები მიიწვ ჩემპიონებია

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წარმატებით



ისპარეზეს, და ორი უკანასკნელი მატჩის წინ უკვე გაინადღეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება 1978 წლისათვის. ამრიგად, ქართველი ახალგაზრდობა, თოთხმეტი წლის შემდეგ, დიდი ენთუზიაზმით ზეიმობს, თბილისის დინამოელთა წარმატებას სსრკ-ის მასშტაბით.

ქართველი რეგბიზმანები

რეგბი სპორტის შედარებით ახალი დარგია საქართველოში, წელს საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა თბილისის რკინიგზის გუნდმა „ლოკომოტივი“.

ეს სპორტული წარმატებები თავისებურად მდებარეობდა პოეზიაში და ვფიქრობთ ჩვენ-მკითხველებსთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება იცნობდნენ პოეტ ზაურ ბოლქვაძის საღალღობო ლექსებს.

საღალღობო ენდუშილი

საღალღობო

გასრულდა მატჩი მსოფლიოს ორი ლეგენდაქალისა ჭადრაკის ორი დედოფლის, ორი დის-მზის და მთეარისა!

მოზოვიემ საქართველო გეგებებათ ოქრობიჭებს! ოქროს დიდი მედალივით ბრწყინავს ცაზე ნოემბრის მზე!

გვაქვს, ბიჭებო, არნახული ყურძნის სეტყვა, ღვინის წარღვა და ქვევრებით გაღვებულ მსაზღვარგარეთ როცა წახვალთ

დიდი ნონა და მაია ჩვენს გარდა არ ჰყავს არვისა, აცვიათ უკვდავკაბები-მჯობნი ბევრისა შარავლისა.

თოთხმეტი წლის ნატვრა ახლა (ვაშა ნოდარ ახალაცსა) და ფეხბურთის მწვანე ტახტი

მსოფლიოშიც ასეთივე გამარჯვების გზა ვაგველოთ, ეგრიალოთ სტადიონებს: „სა-ქართველო!“ სა-ქართველო!“

დღეს ერთადერთი ქალღმერთი გადაგვიმრავლდა ორად: ნონა მაიად გვექცა და მაია ვაგვიწინადა!

კვლავ ქართულად ახასხასდა! წელს წინა ხაით მიუწვდომლად მართლაც გასაკვირველები- და სეზონის დაწყებიდან ხართ ყველაფრით პირველები! ზოგი მსაჯი ჯარიმებით და ყვითელი ბარათებით გებნდათ ზოგჯერ, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდით!

ზაურ ბოლქვაძე

მათი ქება და დიდება არ შემძლია, რომ არ ვთქვა, მე სიკვდილამდე ვიქნები მათთა მეფეთა მონათა.

ვით ორი ქალით-ქართველით- ორი ქართველი ბიჭითაც მსოფლიოს პირველობაზე მალე გგენახოს ბიჭვინთა.

შემოგვანთეთ სიხარული სულ სხვაგვარი შემონთებით! (დუბლიორთა ოქროებსაც მოუთმენლად ველოდებით!)

საქართველოს ეკლესიის აღორძინება?

საფრანგეთის რეფორმისტული ქრისტიანული ეკლესიის ყოველკვირეული ორგანო „ქრისტიანიზმი მეოცე საუკუნეში“ მიუღ გვერდს უთმობს საქართველოს ქრისტიანულ ეკლესიას. ჟურნალის წარმომადგენელს, ფაირი ფონ ლილიენფილდს უმოგზაურია საქართველოში და რუსეთში, პირადათ გაუცენია ახალი კათალიკოს-პატრიარქი, სრულიად საქართველოსი და შეუკრებია, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ცნობები საქ. ეკლესიის შესახებ. ბატონი ლილიენფილდის მიხედვით ილია მეორის არჩევა წარმოადგენს დასაწყისს ქართული ეკლესიის აღორძინებისას. ილია მეორე, რომელიც შედარებით მის წინამორბედებთან ახალგაზრდაა, ამბობს ბ-ნი ლილიენფილდი, დაახლოებით 40 წლის, სარგებლობს დიდი პატივისცემით არა მარტო თავის სამწყსოში, არამედ თვით მის კოლეგ რუსებშიაც. აფხაზეთში სადაც ის იყო მიტროპოლიტი, საწამ სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურად აირჩევენენ, ის მიაჩნიათ ბრძნად და წმინდა სულიერ მოძღვრად.

საქართველოდან მიღებული შეუპოვებელი ცნობების მიხედვით მიტროპოლიტი გაიოზი, სამოქალაქოში ბიძინა კერატაშვილი, რომელსაცსაპატრიარქოს ვაძარცვა დასხვა ბოროტმოქმე-

დებები ბრალდებოდა, მაგრამ რომელსაც კ.გ.ბ. აფარებდა ხელს, თითქოს დაპატიმრებულ იქნა, რადგანაც, თითქოს, მას აღმოჩენოდეს საპატრიარქოში დაკარგული ნივთები.

საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის, მიპატიუებით, 16 სექტემბერს, საქართველოს ეწვია ათონის გუბერნატორი დემეტრიოს ცამისი. დემეტრიოს ცამისი არის, ამავე დროს, ქალაქ სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის პროფესორი. დემეტრიოს ცამისმა განაცხადა, რომ არისტოტელეს უნივერსიტეტში წარმოებს ღიდი მუშაობა საქართველოს ისტორიის შესასწავლად და, რომ ათონის მონასტერი ნებას დართავს ქართველ მეცნიერებს შეისწავლონ მონასტრის მემკვიდრეობა. მას მიაჩნია, რომ ქართველი მეცნიერები ბევრ საინტერესო რამეს აღმოაჩენენ.



კათალიკოსი ილია მეორე

15 აგვისტოს 13 საათზე და 5 წუთზე მიწისძვრა საქართველოში, თბილისში მისი სიმძლავრე აღწევდა სამ-ოთხ ბალს, ხოლო ეპიცენტრში, დმანისის რაიონი, 6 ბალს.

23 აგვისტოს ისევ განმეორდა მიწისქვეშა ბიძგები. თბილისში დაახლოებით იგივე სიმძლავრის რყევა იგრძნობოდა. ეპიცენტრი ამჟამად მდებარეობდა გორში, 5-6 ბალის სიმძლავრით. გაზეთ „კომუნისტის ცნობით: „ქალაქის შენობები რამდენადმდე არსებითად არ დაზიანებულა“.



უროჟ დიუმეზილი

ა და მ ი ა ნ ე ბ ი და წ ი გ ნ ე ბ ი

უროჟ დიუმეზილი

ღიდ ინდოევროპებისს და იბერო-კავკასიურ ენათა სახელგანთქმულ მეცნიერს 80 წელი შეუსრულდა. ამასთან ერთად,

ის არჩეულია საფრანგეთის აკადემიის წევრად, ამიტომ ჩვენ მას ორმაგად მივსალმებით და მიველოცავთ მომავალშიაც წარმატებით გავერძელებინოს თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

უროჟ დიუმეზილი საფრანგეთის უცვდავთა შორის არჩეული იქნა მისი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შრომებისათვის, რომლებიც გასაღებებია ინდოევროპული ცივილიზაციის. ამ დარგში, მსცოვან მეცნიერს მრავალი შრომა აქვს, მაგრამ მათ შორის ყველაზე შესანიშნავია „ადრინდელი რომის რელიგია“ და მონუმენტალური „მითი და ეპოპეა“.

L'EMPIRE ECLATE par Helene Carriere d'Encausse

ოქტომბერში, საფრანგეთში მცხოვრებლები მოწმეები ვიყავით იმ მხურვალე გამოხმაურების, რომელიც წილად ხვდა ქალბატონ ელენე კარერ დანკოსის წიგნის „დამსხვრეული იმპერია“-ს გამოქვეყნებას. არ დარჩენილა არცერთი გაზეთი, ჟურნალი, რადიო და ტელევიზიის არხი, რომ არ აღენიშნა ეს მოვლენა და არ ექო ამ წიგნის ღიდი ღირებულება. რას ეხება ავტორი ამპირ ეკლატეში? საბჭოთა კავშირს; იქ არსებულ ეროვნულ საკითხს და ამასთან დაკავშირებით იხილავს საბჭოთა სახელმწიფოს მომავალ ბედს.



ელენე კარერ დანკოსი

ყოველგვარი პარტიზანული ვნებათა დღევის გარეშე, და ამავა ამ ნაშრომის ღიდი ღირებულება, ქალბატონი ელენე მეცნიერულად უჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირში სრულებითაც

არ არის მოგვარებული ეროვნული საკითხი, რომ 60 წლის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციისა, წინააღმდეგ მათ ლიდერთა განცხადებებისა, სსრკ-ში მწვევად ღვას ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა, რომელიც დიდ საფრთხეს უქადის მას, საფრთხეს შემადგენელ ეროვნულ ერთეულებად დაშლისას.

თავის დასკვნების გასაკეთებლად, ქალბატონი ელენე ეყრდნობა საბჭოთა სტატისტიკის მაჩვენებლებს, საიდანაც უდავოდ გამომდინარეობს: რუსები დომორავიულად თითქმის არ მრავლდებიან, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის ისლამური სამყარო ძალიან სწრაფად მრავლდება, ეს ისე, რომ საუქუნის ბოლოს რუსები უმცირესობაში აღმოჩნდებიან მათ მიერ შექმნილ იმპერიაში და ძნელი დასაჯერებელია, რომ მაშინ რუსებმა შეძლონ თავიანთი პოლიტიკური ჰეგემონიის შენარჩუნება, მითუმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარება რუსების დომინაციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

სერიოზულ და დასაბუთებულ მსჯელობასთან ერთად, „ამპირი ეკლატე“ მეტად საინტერესო და სასიამოვნო საკითხავიცაა და ასეთი აზრის მართო ჩვენ როდი ვართ, რადგანაც ქ-ნმა ელენემ ამ წიგნისათვის მიიღო მეტად საძებარი პრემია დიდი ჟურნალიზმის, რომელსაც ფრანგულად **ოქურდუი** ეწოდება.

ქალბატონ ელენე კარერ დნკოსს უკვე იცნობენ ჩვენი მკითხველები, ნიანც ზედმეტი არ იქნება ვაიმეორით: ის გახლავთ მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი საბჭოთა კავშირის საკითხებისა. ფრანგული ლიტერატურის დოქტორი, პულიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი, ქ-ნი ელენე, ლექციებს კითხულობს პარიზის უნივერსიტეტში საბჭოთა პოლიტიკურ და სოციალურ ისტორიაზე, ის ამავე დროს, ხელმძღვანელობს სსრკ-ის სექციას საერთაშორისო ურთიერთობის საკვლევ ცენტრში და კვლევის უფროსია პოლიტიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ფონდაციაში საფრანგეთში. 1971 წლიდან კი ქ-ნი ელენე კარერ დნკოსს მონაწილეობას ღებულობს ჩიკაგოს უნივერსიტეტის სხვაურ კომიტეტის სამეცნიერო ჯგუფში.

ქალ-ნი ელენე ავტორია აგრეთვე სქელტანიანი წიგნისა, რომელსაც ეწოდება „საბჭოთა კავშირი ღენინიდან სტალინამდე“ და მრავალი სტატიისა, როგორც სსრკ-ზე, ისე სხვა კომუნისტურ და ცენტრალურ აზიის სახელმწიფოებზე.

ქალბატონი ელენე ასულია გიორგი ზურაბიშვილის, გამგრძელებელი ნიკოლაძე-ზურაბიშვილების სახელოვნო ოჯახების ტრადიციების, ამიტომ ქართველებისთვის გასაკვირი არ იქნება „ლ.ამპირი ეკლატეს“ ავტორის წარმატებები

თამარ დე ლეტეს მხატვრობის გამოფენა

მიმდინარე წლის 13 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე, პარიზის მეეთქვსმეტე რაიონის გალერეაში მიმდინარეობდა ქ-ნ თამარ დე ლეტეს მხატვრობის გამოფენა. იქ უმთავრესად წარმოდგენილი იყო პორტრეტები, და უნდა ითქვას, რომ მათ აზით დიდი მხატვრის ნიშანი. თვითეული პორტრეტიდან მაყურებელი ხედავს შინაგანი სხვიით გაშუქებულ ნაცნობ სახეებს. განსაკუთრებით მეხსიერებაში ჩამრჩა ვენერა ხაბულიანის, მედეა ურატაშვილის, პატარა დე კინსის(ღღღღღ) ამილახვარი) და თხელ, გამჭვირვალე ლიქაქში გახვეული, მშვიდღღღღღ მოხროლი, თითქმის გამოსაყურისკენ, რომ არის გამზადებული, მაღამ ტასის პორტრეტები და გამოსახულებები.

თავის მომხიბლველი მიღებით, ქ-ნი თამარი კიდევ უფრო ამალღღღღღდა თავის შემოქმედებას.

თ ა ვ ი ს უ ზ ე ბ ი ს ტ რ ი ბ უ ნ ი ს ფონდი

ლუბა აბდუშელიშვილი	-----	50,00	ფრ.ფრანკი	აკაკი ბარკალაია	-----	100,00	ფრ.ფრანკი
ილ. თ	-----	50,00		ანრუან კომპანიონი	---	100,00	
ელენე და შალვა ცინცაძეები	-----	629,28		ნაგოლა თოფურია	---	205,00	
ყანეტა და მ. გოგორიშვილები	-----	200,00		მეგობარი ნიუ-იორკიდან	-----	82,00	
ეპ. ილია მაღლაკელიძე	-----	200,00		სალომე ზურაბიშვილი	---	300,00	
გრიგოლ აბულაძე	-----	90,82		ღვთის დ. გ. ურატაძეები	-----	200,00	
ქრისტეფორე იმნაიშვილი	---	50,00		ნუგზარ შარია	-----	200,00	
ილო ემუხვარი	-----	100,00		გრიგოლ წერეთელი	-----	100,00	
ვიტალი უგრეხელიძე	-----	16,40		მიშა ხუნდაძე	-----	100,00	
ნიკოლა ანთაძე	-----	100,00					
ძღვანით ვაშაძე	-----	300,00					
მართა სტურუა	-----	50,00		ჯამი	-----	3.243,50	